პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.
სამშაბათი,
14
მაისი
1935 წ.
№ 111 (4267)

დღეს ნომერში

- — საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის ურთიერთობა და ბრძოლა მშვიდობიანობისათვის. („პრავდის" მოთავარი).
- — მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატთან არსებული საბჭოს პირველი პლენუმი (მე-2 გვ.).
- — მოსკოვის მეტროპოლიტენისათვის ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის სახელის დარქმევის შესახებ.
- — სტატია: საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი უშიშროებისათვის ბრძოლაში (მე-2 გვ.).
- — რეიხსვერის გენერლები ამხ. ვოროშილოვის შესახებ.
- — ბ-ნი ლავალის ჩამოსვლა მოსკოვში.
- — ლავალის საუბარი ბექთან (მე-2 გვ.).
- — ჩინეთის წითელი არმიის წარმატება (მე-2 გვ.).
- — პილსუდსკის გარდაცვალება.
- — საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის სამძიმარი პილსუდსკის გარდაცვალების გამო.

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა და ბრძოლა მშვიდობიანობისათვის

„პრავდის" მოწინავე 13|V

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პიერ ლავალის ჩამოსვლა მოსკოვში იპყრობს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის დაძაბულ ყურადღებას საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის ურთიერთობის განვითარებისაკენ.

უკანასკნელი ოთხი წელიწადი სსრ კავშირსა და საფრანგეთს შორის ურთიერთდამოკიდებულების სფეროში აღინიშნა მზარდი ურთიერთ ნდობის პროცესით და მათ შორის თანდათან მტკიცდება თანამშრომლობა, მიმართული საყოველთაო მშვიდობიანობის უზრუნველყოფისა და გამაგრებისაკენ.

17 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირი ახორციელებს თავის სამშვიდობო პოლიტიკას თანმიმდევრობით და სიმტკიცით. ეს წლითიწლობით მით უფრო რელიეფურად იჩენს თავს, რომ ეს პოლიტიკა ემყარება საბჭოების ქვეყნის მუდამ მზარდ ეკონომიურ, პოლიტიკურსა და სამხედრო ძლიერებას.

საბჭოთა კავშირის ხალხებმა სულ ცოტა ხანში გიგანტური მუშაობა გასწიეს ჩვენი დიდი ქვეყნის მთელი მეურნეობის რადიკალური რეკონსტრუქციისათვის. ჩამორჩენილი, ღატაკი, აგრარული რუსეთი მათ გადააქციეს პროლეტარიატის მოწინავე, დიდ ინდუსტრიალურ სახელმწიფოდ. საბჭოთა კავშირის ხალხები, რომლებსაც აქვთ პირველი ხუთწლედის და მეორე ხუთწლედის პირველი წლების მთელი რიგი სახელოვანი და გრანდიოზული გამარჯვებანი, სავსებით მომზადებული არიან მთელი თავისი წინანდელი უხვი და მრავალფეროვანი გამოცდილებით იმ ამოცანების გადასაჭრელად, რომლებიც წამოიჭრება მათ წინაშე გარედან თავდასხმის შემთხვევაში. საბჭოთა კავშირს მოეპოვება ყველაფერი, რაც კი საჭიროა შემდგომი მშვიდობიანი განვითარებისათვის, მას მოეპოვება ყველაფერი, რაც კი საჭიროა იმისათვის, რომ გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს ყველა იმათ, ვინც შეეცდება თავს დაესხას მის საზღვრებს.

მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირი აქტიურად მხარს უჭერს ყოველგვარ ღონისძიებას, რომელიც მიმართულია მშვიდობიანობის განმტკიცების მიზნით ცალკეულ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის განვითარებისა და გაღრმავებისაკენ. ეს აიხსნება ჩვენი მთავრობის ღრმა რწმენით, რომ ომი, სადაც უნდა დაიწყოს იგი, აუცილებლად მსოფლიო ხასიათს მიიღებს და აურაცხელ უბედურებას დაატეხს თავს მშრომელ კაცობრიობას.

ამას აუცილებლივ ადასტურებს საბჭოთა კავშირის საგარეო ურთიერთობათა ისტორია განვლილი 17 წლის განმავლობაში. საბჭოთა კავშირს შესწევს უნარი გაარჩიოს სახელმწიფოები, რომელთა მმართველი წრეები ავანტურებისა და დაპყრობისაკენ მიისწრაფიან, იმ სახელმწიფოებისაგან, რომლებსაც ამა თუ იმ მიზეზების გამო ომი არ სურთ და დაინტერესებული არიან მშვიდობიანობის შენარჩუნებით.

ჩვენ, კერძოდ, ვიცით, რომ საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრის დიდი უმრავლესობა ნამდვილად მიისწრაფის მშვიდობიანობის უზრუნველყოფისაკენ. ჩვენ ვიცით, რომ საფრანგეთი სავსებით საფუძვლიანად, არის შეშფოთებული იმის გამო, რომ აქა-იქ აშკარად ეწევიან ომის პროპაგანდას. ზოგიერთთ სურთ შექმნან მსოფლიო ჰეგემონია ერთი იმპერიალისტური სახელმწიფოს სასარგებლოდ და გადააქციონ ევროპის ხალხნი ერთი „უმაღლესი რასის" ვასალად.

საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის სამშვიდობო ორიენტაცია თავისთავად იძლევა საკმაო წინამძღვარს საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის მტკიცე და ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის. საბჭოთა კავშირის მშრომელები მით უფრო ხალისით მიესალმებიან საფრანგეთთან დაახლოებას და თანამშრომლობას, რომ ისინი მუდამ მხურვალე სიმპატიით ეკიდებოდნენ საფრანგეთის დიდ ხალხს, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში ჩაწერა სახელოვანი ეპიზოდები რევოლუციური ბრძოლისა, უმაგალითო გმირობითა და უსაზღვრო სიმამაცით აღნიშნული.

საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის თანამშრომლობისაკენ მისწრაფებამ თავისი მკაფიო და აშკარა გამოხატულება ჰპოვა იმაში, რომ 2 მაისს პარიზში ბ. პიერ ლავალსა და ამხ. პოტიომკინს შორის ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება ურთიერთდახმარების შესახებ. ეს ხელშეკრულება წარმოადგენს საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის თანამშრომლობის ახალი პერიოდის დასაწყისს.

პირველი პერიოდი დაიწყო იმით, რომ 1932 წელს ხელმოწერილ იქნა საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის პაქტი თავდაუსხმელობის შესახებ, რომელმაც რადიკალურად აღმოფხვრა ამ ორ ქვეყანას შორის წარსულიდან დარჩენილი მიზეზები დავის და [illegible] და ხელსაყრელი [illegible] შექმნა მათ შორის ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის. 1932 წლიდან დაწყებული, ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ სწრაფად იზრდება საფრანგეთში იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც კარგად უწევენ ანგარიშს იმას, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირს, როგორც მშვიდობიანობის ფაქტორს, აგრეთვე იმას, რომ საფრანგეთისთვის საჭიროა მჭიდრო თანამშრომლობა დაამყაროს საბჭოთა ქვეყანასთან. თუ ათი წლის წინათ ასეთი ადამიანები ერთეულს წარმოადგენდენ, ახლა ისინი უკვე უმრავლესობას შეადგენენ.

აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს საფრანგეთის ისეთი გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწის დიდი დამსახურება, როგორიც არის ედუარდ ერიო, რომელიც საფრანგეთის მხრივ წარმოადგენს 1932 წლის ხელშეკრულების ავტორს და რომელიც საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველივე წლებიდან აქტიურად იბრძოდა და იბრძვის საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის დაახლოების საქმისათვის. ფართოდ არის აგრეთვე ცნობილი ის მუშაობა, რომელიც ამ მიმართულებით გასწიეს საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრებმა პოლ ბონკურმა და განსაკუთრებით განსვენებულმა ლუი ბარტუმ.

ყველასათვის ცნობილია, რომ 2 მაისის ხელშეკრულების ხელმოწერას წინ უძღოდა საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის დიპლომატიის შეუპოვარი და დაჟინებითი მუშაობა. მიმართული იმ მრავალმხრივი ხელშეკრულების განხორციელებისაკენ, რომელიც ემყარება იმავე პრინციპებს, რომლებზედაც დამყარებულია საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის ორმხრივი ხელშეკრულება. განხორციელება ამ მრავალმხრივი შეთანხმებისა, რომელიც ცნობილია აღმოსავლეთ ევროპის პაქტის სახელწოდებით, აღმოსავლეთ ევროპაში უშიშროების საკითხის სუკეთესო გადაჭრა იქნებოდა და ხელს შეუწყობდა მშვიდობიანობის უზრუნველყოფის საქმის თითქმის ამოწურვას მთელს ევროპაში. აგრეთვე კარგადაა ცნობილი, რომ ყოველგვარი მეცადინეობა, მიმართული აღმოსავლეთ ევროპის პაქტის განხორციელებისაკენ, ამაო აღმოჩნდა, რადგან გერმანიამ და პოლონეთმა უარი განაცხადეს შეერთებოდენ მას. მარტო ეს ფაქტი კმარა იმისათვის, რომ სრული სიცხადით გამოირკვეს, თუ რაოდენ საჭირო და დროულია საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის ხელშეკრულება ურთიერთდახმარების შესახებ.

რაკი ევროპაში მოიპოვებიან მთავრობები, რომლებიც უარყოფენ მშვიდობიანობის უზრუნველყოფისაკენ მიმართულ შეთანხმებას, მაშინ იმ ქვეყნებს, რომლებსაც მშვიდობიანობა სურთ, უფლება აქვთ და ვალდებულიც არიან გააერთიანონ თავიანთი ძალღონე მოსალოდნელი ავანტურების თავიდან ასაცილებლად.

აღმოსავლეთ ევროპის პაქტის შესახებ მოლაპარაკების პროცესში საბჭოთა კავშირი, რომელიც ცდილობდა გაადვილებინა მშვიდობიანობის კოლექტიური გარანტიის განხორციელება, დათანხმდა შესულიყო ერთა ლიგაში. მაგრამ მისი მხურვალე ენტუზიასტებიც კი აღიარებენ, რომ სისტემა, რომელსაც ლიგა იძლევა, სულ ცოტა რომ ითქვას არ კმარა და მას მნიშვნელოვანი დამატებანი ესაჭიროება. უშუალო მიზანი, რომელსაც საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის ურთიერთდახმარების ხელშეკრულება ისახავს, სწორედ ისაა, რომ შეავსოს ერთა ლიგის უშიშროების სისტემის ხარვეზები და გამოასწოროს მისი ნაკლი.

ამრიგად, საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება არამც თუ რითიმე არ ეწინააღმდეგება ერთა ლიგის წესდების მიზნებსა და სულს, არამედ ქმნის ახალ, სავსებით რეალურ ეფექტიან საშუალებებს ამ მიზნების უფრო სრულად განხორციელებისათვის.

საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს ორ სახელმწიფოს შორის მზარდი დაახლოების შედეგს, ქმნის ახალ წინამძღვარს მათ შორის შემდგომი დაახლოებისათვის მშვიდობიანობის საქმის სასარგებლოდ.

ამ მხრივ მნიშვნელოვან როლს ითამაშებს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ჩამოსვლა მოსკოვში და ის პირადი კონტაქტი, რომელსაც ბ-ნი პიერ ლავალი დაამყარებს აქ საბჭოთა პოლიტიკის ხელმძღვანელებთან. საბჭოთა კავშირის ხალხნი, რომლებიც მშვიდობიანობის საქმის ღრმად ერთგულნი არიან, მიესალმებიან იმ ფაქტს, რომ მოსკოვში ჩამოვიდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ. პიერ ლავალი, რომელმაც აქტიური როლი ითამაშა იმ მოლაპარაკებაში, რასაც შედეგად მოჰყვა საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის 2 მაისის ხელშეკრულების დადება, აქტიური როლი ითამაშა საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის თანამშრომლობის და საყოველთაო მშვიდობიანობის საქმის განმტკიცებაში.

მოსკოვის მეტროპოლიტენისათვის ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის სახელის დარქმევის შესახებ

სსრ კავშირის ცაკის დადგენილება

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

მოსკოვის მეტროპოლიტენის მშენებელთა და მოსკოვის პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების სურვილის თანახმად. — მოსკოვის მეტროპოლიტენს ეწოდოს ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის სახელი.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
ი. აკულოვი.

მოსკოვი, კრემლი.
13 მაისი 1935 წელი

ბ-ნ ლავალის ჩამოსვლა მოსკოვში

მოსკოვი, 13 მაისი. 13 მაისს მოსკოვში ჩამოვიდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი **პიერ ლავალი**. მინისტრთან ერთად ჩამოვიდენ მისი ქალიშვილი **ჟოზე ლავალი**, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ბ-ნი **ლეჟე** და საგარეო საქმეთა მინისტრის კაბინეტის უფროსი ბ-ნი **რაშა**.

ბელორუსიის ვაგზალზე ბ-ნ ლავალს გაუმართეს საზეიმო შეხვედრა. ვაგზალი მორთულია საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის სახელმწიფო დროშებით. ბაქანზე ჩამწკრივებულია საპატიო ყარაული ორკესტრით.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის შესახვედრად სადგურზე მოვიდნენ: საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. **მ. მ. ლიტვინოვი**, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. **ნ. ნ. კრესტინსკი**, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ა. ბულგანინი**, მოსკოვის სამხედრო ოლქის სარდალი ამხ. **ა. ი. კორკი**, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მე-3 დასავლეთის განყოფილების გამგე ამხ. **ე. ვ. რუბინინი**, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ამხ. **ვ. ნ. ბარკოვი**, იმავე კომისარიატის პრესის განყოფილების გამგე ამხ. **კ. ა. უმანსკი**, სსრ კავშირის სამხედრო ატაშე საფრანგეთში ამხ. **ს. ი. ვენცოვი**, თავდაცვის სახალხო კომისარიატის საგარეო ურთიერთობათა განყოფილების უფროსი ამხ. **ა. ი. გეკერი**, საფრანგეთის საელჩოს მთელი შემადგენლობა, ჩეხო-სლოვაკიის ელჩი ბ-ნი **ბოგდან პავლუ**, რუმინეთის ელჩი **ბ. ედმონ ჩიუნტი**, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები და საბჭოთა და უცხოეთის პრესის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები.

სრულ 11 საათსა და 35 წუთზე მატარებელი უახლოვდება ბაქანს. სალონ-ვაგონში შედის ამხ. ლიტვინოვი, რომელიც სალამს უძღვნის ბ-ნ ლავალს. ბ-ნი ლავალი გამოდის ვაგონიდან ამხ. ლიტვინოვთან ერთად. მას თან ახლავს საფრანგეთის ელჩი საბჭოთა კავშირში ბ-ნი ალფანი, რომელიც მის შესახვედრად გაემგზავრა საზღვარზე. საპატიო ყარაულის უფროსმა ბ-ნ ლავალს წარუდგინა პატაკი, რის შემდეგ მინისტრმა და ამხ. ლიტვინოვმა ჩაუარეს ყარაულის ფრონტს. ორკესტრმა შეასრულა „მარსელიოზა" და „ინტერნაციონალი".

ბაქანის უკან მყოფი საზოგადოება მქუხარე ტაშით, გულთბილად მიესალმა საბჭოთა კავშირის სტუმარს — საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ბ-ნ პიერ ლავალს.

„სოიუზკინოქრონიკას" მიკროფონის წინ ბ. ლავალმა მადლობა გამოსთქვა იმ გულთბილი დახვედრისათვის, რომელიც მას საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გაუმართეს.

სადგურიდან ბ-ნი ლავალი გაემგზავრა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ცალკე სახლში, რომელიც მას მიუჩინეს.

*

იმავე მატარებლით მოსკოვს ჩამოვიდა საფრანგეთის დეპეშათა სააგენტოების და როგორც უდიდეს დედაქალაქების, ისე პროვინციული გაზეთების დაახლოებით 30 სპეციალური კორესპონდენტი, აგრეთვე საფრანგეთის ჩრდილო რკინიგზის ვიცე-დირექტორი **ბ. მაიერი**, საძინებელ ვაგონების საერთაშორისო საზოგადოების დირექტორი **ბ. ვიტოვტი** ქ-ნი **პატენოტრი** ცოლი საფრანგეთის სახალხო მეურნეობის ყოფილი მინისტრისა, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო შეთანხმების შემუშავებაში (ადს).

პიერ ლავალი საბჭოთა კავშირში

ნეგორელოე, 12 მაისი (ელვა. საკ. დეპეშათა სააგენტოს სპეც. კორ.). დღეს, 20 საათსა და 15 წუთზე, სად. ნეგორელოეში ჩამოვიდა მოსკოვს მიმავალი საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი პიერ **ლავალი**. მინისტრს თან ახლავან საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ბ-ნი **ლეჟე** და საგარეო საქმეთა მინისტრის კაბინეტის უფროსი ბ-ნი **რაშა**. ბ-ნ ლავალთან ერთად მოსკოვში ჩამოდის მისი ქალიშვილი, მ-ლი ჟოზე ლავალი. საზღვარზე ბ-ნ ლავალს შეეგებენ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მე-3 დასავლეთის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. **რეინბერგი**, რომელიც მინისტრს მიესალმა საბჭოთა მთავრობის და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ლიტვინოვის სახელით, და საფრანგეთის ელჩი საბჭოთა კავშირში ბ-ნი **ალფანი**.

★

ნეგორელოე, 12 მაისი (ელვა. საკ. დეპეშათა სააგენტოს სპეც. კორ.) ბ-ნ ლავალთან ერთდროულად ჩამოვიდენ საფრანგეთის პრესის სპეციალური კორესპონდენტები: ჰავასის სააგენტოს წარმომადგენელი **ბასე**, „ეკოდე პარის"— **ჟირო** (პერტინაქსი), „ტანის" **ანრი როლენი**, „პტი პარიზიენის"—**ბურგესი**, „ორდრის" **ემილ ბიურე**, „პტი ჟურნალის" **კლოდჟანტე**, „ევრის" **ტაბუი**, „ერ ნუველის" **ელიან ბრო**, „ომ ლიბრის" და „ენტრანსიჟანის" — **ტუვენი**, „პარი სუარის" — **პერრე**, რადიოს" სააგენტოსი — **ერიკური**, „ენფორმასიონის" და „აჟანს ეკონომიკ ე ფინანსიერის" **თუსარო**, „ვიუს" და „ლიუს" **ლიუსიენ ვოჟელი** და **ბერტრან დე ჟუვენელი**, ელზასის გაზეთების წარმომადგენელი, ყოფილი დეპუტატი **გრუმბახი**, მთელი რიგი პროვინციული გაზეთების წარმომადგენელი პრეტ. აგრეთვე გაზეთების „ექლერ „ჟურნალის", „უესტ-ეკლერის" და „პარი-მიდის" წარმომადგენლები. „რეპუბლიკის" და „მარიანის" რედაქტორი **ჟაკ კაიზერი** მოსკოვში უკვე რამდენიმე დღით ადრე ჩავიდა.

*

ნეგორელოე, 12 მაისი. (ელვა. საკ. დეპეშათა სააგენტოს სპეც. კორესპონდენტისაგან). იმავე მატარებლით მოსკოვში მიემგზავრებიან სახალხო მეურნეობის ყოფილი მინისტრის ცოლი ქ-ნი **პატენოტრი**, საფრანგეთის ჩრდილოეთის გზების ვიცე-დირექტორი **ბ. მაიერი** და საძინებელ ვაგონების საზოგადოების დირექტორი **ბ. ვიტოვტი**.

მინსკი, 12 მაისი. დღეს, 22 საათსა და 30 წუთზე, მინსკში გაიარა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ. პიერ ლავალმა, რომელიც მოსკოვში მიემგზავრება. სადგურზე მინისტრს ბელორუსიის მთავრობის სახელით მიესალმა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის რწმუნებული ბელორუსიის სახკომსაბჭოსთან ამხ. კალინა.

ნეგორელოე, 12 მაისი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს ბ. პიერ **ლავალმა** განაცხადა:

— მე მივემგზავრები მოსკოვში მშვიდობიანობის საქმის ინტერესებისათვის.

საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის პაქტმა, რომელსაც მე ხელი მოვაწერე, განამტკიცა თანამშრომლობა ამ ორ ქვეყანას შორის. ჩემი დარბაზობა უთუოდ უფრო განამტკიცებს მეგობრობას ჩვენს ქვეყნებს შორის (ადს).

ბ-ნ ლავალის განცხადება „პრავდის" კორესპონდენტს

ნეგორელოე, 12 მაისი („პრავდის" სპეც. კორ.). ნეგორელოეში ჩამოსვლისთანავე საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პიერ ლავალმა ჩვენს კორესპონდენტს შემდეგი განუცხადა:

— მე უაღრესად ბედნიერი ვარ, რომ ვათავებ მოსკოვში ჩემი მგზავრობის ამ უკანასკნელ ეტაპს. განსაკუთრებით დიდი კმაყოფილებით შევხვდები მოსკოვში ბატონ ლიტვინოვს. ჩემი საუბარი მასთან ყოველთვის ფრიად გულითადი იყო. საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის პაქტმა განამტკიცა ჩვენი ორი ქვეყნის თანამშრომლობა ევროპაში მშვიდობიანობის ორგანიზაციის საქმეში. ჩემი დარბაზობა გაამტკიცებს იმ მეგობრულ ურთიერთობას, რომელიც ჩვენს ქვეყნებს ერთმანეთთან აკავშირებს.

რეიხსვერის გენერლები ამხ. ვოროშილოვის შესახებ

ბერლინი, 11 მაისი. („იზვესტიის" საკ. კორესპონდენტისაგან). ბერლინში გამოვიდა წიგნი **„შეიარაღებული ძალის შემოქმედნი და ორგანიზატორნი"** („შეპფერ უნდ გეშტალტერ დერ ვერკრაფტ".) წიგნი გამოსცა გერმანიის „სამხედრო პოლიტიკის და სამხედრო ცოდნათა საზოგადოებამ" გენერალ - ლეიტენანტ ფონ-კოხენჰაუზენის რედაქციით. ამ წიგნში მოცემულია პორტრეტები მსოფლიო ისტორიის უდიდესი სამხედრო ორგანიზატორებისა, როგორც მაგალითად, კრომველის, პრინც ევგენის, ფრიდრიხ ვილჰელმ 1-ისა, კარნოსი, შარნჰორსტის, კიტჩენერისა და ვოროშილოვისა.

ამ კრებულში ამხ. ვოროშილოვს დათმობილი აქვს 22 გვერდი. დაწვრილებით არის ჩამოთვლილი თავდაცვის სახალხო კომისრის ბიოგრაფია, მისი რევოლუციური მოღვაწეობა, მისი როლი სამოქალაქო ომში ამხ. **სტალინთან** ერთად და მისი ხელმძღვანელობით და სხვ. სპეციალური თავები დათმობილი აქვს სსრ კავშირის მდგომარეობას, მის თავდაცვის უნარიანობას, მუშურ - გლეხური წითელი არმიის მშენებლობას და მდგომარეობას. გარდა ამისა აღნიშნულია:

„საბჭოთა კავშირის თანამედროვე მზადყოფნა როგორც სამხედრო, ისე თავდაცვის მხრივ, ვოროშილოვის ორგანიზებული მოღვაწეობის შედეგია".

ამხ. ვოროშილოვისადმი განსაკუთრებული პატივისცემით გამსჭვალულია სტატიის დასკვნითი თავი. ავტორი აღნიშნავს ამხ. ვოროშილოვის დამსახურებას იმ მხრივ, რომ მან [illegible] თავდაცვის საქმეში ჩააბა ინჟინრები, ტექნიკოსები და ყველა ჯგუფის და რანგის მეცნიერი მუშაკები."

„განცვიფრებაში მოდიხარ,— წერს ავტორი, — თუ როგორ შეიცნო ფაბრიკის ამ ყოფილმა მუშამ, რომელსაც მხოლოდ ორი წლის სასკოლო განათლება აქვს მიღებული, ომის თანამედროვე წარმოების ყველა ელემენტი, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შეთანხმებული მოქმედების საჭიროება და შესძლო სახალხო ცხოვრების მთელი ძალების გამოყენება ბრძოლის უნარიანობის სამსახურისათვის.

მერე მოყვანილია დიდი ციტატა ამხ. ვოროშილოვის ერთი სიტყვიდან.

ავტორი შემდეგ აღნიშნავს:

„ვოროშილოვის ფიგურა მოქცეულია ჩვენი დღეების ისტორიის ცენტრში. როგორც ისეთი მსოფლმხედველობის და პოლიტიკური სისტემის მატარებლის ფიგურა, რომელსაც ჩვენ თუმცა უარვყოფთ მაგრამ, რომლის გვერდის ავლაც შეუძლებელია, ვინაიდან საბჭოთა კავშირის ხალხები დგანან „ისეთი განვითარების დასაწყისში, რომელიც განსაზღვრავს აზიის და აღმოსავლეთ ევროპის მომავალსო.

შემდეგ ავტორი შენიშნავს, რომ ამხ. ვოროშილოვის გავლენის სამართლიანი, ღირსეული შეფასება შეუძლია მოგვცეს ჩვენმა მომავალმა ისტორიკოსმა, მაგრამ უკვე ახლაც.

„შეიძლება ითქვას, რომ წითელი არმიის ორგანიზატორს, რომელიც ცხრა წელიწადია, რაც მის მშენებლობაზე მუშაობს, უკვე ახლაც აქვს თავისი ისტორიული მნიშვნელობა".

ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს ამხ. ვოროშილოვის, როგორც სახალხო კომისრის და „ყველა უმაღლესი პარტიული ორგანიზაციის წევრის" მნიშვნელობას.

„იგი შემტევი ჭაბუკი როდია. იგი ჭკვიანი და გონიერია, უდავო ორგანიზატორული ტალანტის პატრონი, ბუნებით ხელმძღვანელი, მტკიცე, შეუდრეკელი ნებისყოფით; იგი უყვართ არმიის ფარგლებს გარეშეც; იგი თავაზიანია ურთიერთობაში და ყველა ოფიციალურ გარემოებაში აცვია ხაზგასმული გულმოდგინეობით, აქვს რა მკერდზე წითელი დროშის რამდენიმე ორდენი და გვერდზე ჰკიდია საპატიო ოქროს ხმალი".

სტატია ასე თავდება:

„თუ უკვე დღეს საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალა წარმოადგენს ისეთ ფაქტორს, რომელსაც მთელი მსოფლიო უწევს ანგარიშს, თუ დღეს საბჭოთა კავშირი, ამის მეოხებით, პატივისცემის აღმძვრელ მოწინააღმდეგედ გადაქცეულა და კვლავ გაუჩნდა უნარი კავშირები შეჰკრას,— ეს უმთავრესად ვოროშილოვის საქმეა:

ამხ. ვოროშილოვის და წითელი არმიის შესახებ ასეთი აზრის გამოთქმა გერმანიაში ფრიად დამახასიათებელია რეიხსვერის ოფიცრობისათვის, კერძოდ, გენერალიტეტისათვის, რომელიც გაერთიანებულია „სამხედრო პოლიტიკის შესწავლისა და სამხედრო ცოდნათა საზოგადოების" გარშემო (ადს).

—o—

„მშვიდობიანობის პლებისციტი"

ლონდონი, 10 მაისი. („პრავდის" საკ. კორ.). უკანასკნელი ცნობებით „მშვიდობიანობის პლებისციტში" მონაწილეობა მიიღო 7.881.193 კაცმა. კენჭის ყრის შედეგები ისეთ დიდ ქალაქებში, როგორიც არის ლონდონი, მანჩესტერი, ლივერპული, გლაზგო და კარდიფი, ჯერ არ არის გამორკვეული. (ადს).

ბალკანეთის ანტანტის საბჭოს სხდომა

ბუქარესტი, 10 მაისი. შესდგა ბალკანეთის ანტანტის მუდმივი საბჭოს პირველი სხდომა, რომელზედაც წარმოებდა აზრთა გაზიარება სესიის დღის წესრიგის შემუშავების მიზნით (ადს).

ამხ. მ. გ. მოროზოვის დაჯილდოვება

წითელი ვარსკვლავის ორდენით

მოსკოვი, 10 მაისი. რკინისგზის ტრანსპორტზე ავარიებთან თავგანწირული ბრძოლისათვის და დამხარისხებელ ბაქანზე ავარიის თავიდან ასაცილებლად გმირული საქციელისათვის, რომლის დროს მისი სიცოცხლე საფრთხეში იყო, ს.ს.რ. კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მოსკოვ-კურსკის რკინისგზის ლიუბლინოს სადგურის დამხარისხებელი ბაქანის გამგე მიხეილ გრიგოლის-ძე მოროზოვი დააჯილდოვა წითელი ვარსკვლავის ორდენით (ადს).

პილსუდსკის გარდაცვალების გარშემო

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის სამძიმარი

მოსკოვი, 13 მაისი. მარშალ პილსუდსკის გარდაცვალების გამო საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. მ. მ. ლიტვინოვმა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრს გაუგზავნა სამძიმრის დეპეშა.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის 1 დასავლეთის განყოფილების გამგემ ამხ. ბერეზოვმა პოლონეთის ელჩს მოსკოვში ბ. ლუკასევიჩს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელით გამოუცხადა სამძიმარი. (ადს).

პიერ ლავალი

(ბიოგრაფიული ცნობა)

პიერ ლავალი დაიბადა 1883 წლის 28 ივნისს შატელდონში (პუი - დედომის დეპარტამენტი), გლეხის ოჯახში. მიიღო უმაღლესი იურიდიული განათლება.

ახალგაზრდობაში ლავალი მიემხრო სოციალისტებს. როგორც სოციალისტი, პირველად იქნა არჩეული დეპუტატთა პალატაში 1914 წელს. სოციალისტურ მოძრაობასთან მან კავშირი გასწყვიტა 1921 წელს ისე რომ არ მიმხრობია სხვა რომელიმე პარტიას. 1924 წელს იქნა არჩეული დეპუტატად „მემარცხენე კარტელის" სიით. არჩევნების შემდეგ იგი არ შესულა პარლამენტის არც ერთ ჯგუფში და გამოაცხადა თავი „დამოუკიდებლად". 1926 წლიდან ლავალი სენის დეპარტამენტში არჩეულ იქნა სენატორად.

ლავალი ორჯერ იყო პრემიერად და მინისტრად რვა კაბინეტში, რომლებსაც მეთაურობდენ სხვა სახელმწიფო მოღვაწეები. მას შემდეგ, რაც მარსელში მოჰკლეს ბარტუ (1934 წლის 9 ოქტომბერი), ლავალი დაინიშნა საგარეო საქმეთა მინისტრად. დუმერგის კაბინეტის გადაგომის შემდეგ ეს პოსტი მან შეინარჩუნა ფლანდენის ახალ კაბინეტში და დღემდე უჭირავს იგი. ერთსადაიმავე დროს ლავალი არის ქალაქ ობერვილიეს მერი.

მიმდინარე წლის 2 მაისს ლავალმა, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა, ხელი მოაწერა საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის ხელშეკრულებას ურთიერთდახმარების შესახებ (ადს).

გარდაიცვალა პილსუდსკი

ვარშავა, 13 მაისი. პოლონეთის სააგენტოს ცნობით, 12 მაისს, 22 საათსა და 45 წუთზე (მოსკოვის დროით) ბელვედერის სასახლეში კუჭის და ღვიძლის კიბოსაგან გარდაიცვალა პილსუდსკი. პილსუდსკის ავადმყოფობა უკვე რამდენიმე თვეა ძლიერდებოდა, ავადმყოფის მდგომარეობა უეცრად გაუარესდა 11 მაისს ნაწლავებიდან ძლიერი სისხლისდენის გამო, რამაც გამოიწვია გულის დასუსტება და შემდეგ სიკვდილი (ადს).

ვარშავა, 13 მაისი. პოლონეთის სააგენტო იუწყება:

„კაბინეტის საბჭოს სხდომის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარე სლავეკი გაემგზავრა პრეზიდენტის სასახლეში, სადაც მიიღო პრეზიდენტმა ხანგრძლივი აუდიენციით. შუაღამისას მთავრობა სრული შემადგენლობით მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მეთაურობით გაემგზავრა ბელვედერში, რათა უკანასკნელად პატივი ეცა მარშალისათვის". (ადს).

პოლონეთის სააგენტოს ცნობა

ვარშავა, 13 მაისი. პოლონეთის სააგენტო იუწყება:

„პრეზიდენტმა არმიის ინსპექტორი დივიზიის გენერალი რიდზ - სმიგლა დანიშნა პოლონეთის შეიარაღებულ ძალთა გენერალური ინსპექტორის პოსტზე. ამავე დროს პრეზიდენტმა სამხედრო მინისტრის პირველი მოადგილე ბრიგადის გენერალი სზოგნევ კასპშიცკი დანიშნა სამხედრო სამინისტროს მართველად".

იუზეფ პილსუდსკი

(ბიოგრაფიული ცნობა)

მარშალი იუზეფ პილსუდსკი დაიბადა 1867 წ. 5 დეკემბერს ზულოვოში, ვილნოს მახლობლად, აზნაურის ოჯახში. 1885 წელს პილსუდსკი შედის ხარკოვის უნივერსიტეტის მედიკურ ფაკულტეტზე, საიდანაც მას მალე ითხოვენ „სტუდენტთა არეულობაში" მონაწილეობისათვის. 1887-დან 1892 წლამდე ის გადასახლებულია აღმოსავლეთ ციმბირში. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ პილსუდსკი მონაწილეობს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ჩამოყალიბებაში, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „პოლონეთის სოციალისტური პარტია" (პპს) 1906 წელს პილსუდსკი, რომელიც უკმაყოფილოა გაბატონებულ მემარცხენე მიმდინარეობით პოლონეთის სოციალისტურ პარტიაში, ახდენს გათიშვას და სათავეში უდგება თვით მის მიერ დაარსებულ პოლონეთის ნაციონალისტურ სოციალისტურ პარტიას. 1908 წელს გალიციაში პილსუდსკი დამოუკიდებელ პოლონეთისათვის შეიარაღებული ბრძოლის მიზნით ქმნის „აქტიური ბრძოლის კავშირს", რომელშიაც შედიან „მსროლელთა კავშირები", რომლებიც მეტწილად შესდგებიან გალიციის უმაღლეს და საშუალო სასწავლებლების მოსწავლე ახალგაზრდობისაგან.

მსოფლიო ომის დაწყებისას პილსუდსკი ადგენს პოლონურ ლეგიონებს, რომლებიც იბრძვიან ავსტრია-გერმანიის კოალიციის მხარეზე მეფის არმიის წინააღმდეგ და სათავეში უდგება ამ ლეგიონებს.

გერმანიის იმპერიის დამხობის შემდეგ 1918 წლის ნოემბერში პილსუდსკი ბრუნდება ვარშავაში და სათავეში უდგება პოლონეთის სახელმწიფოს და ხელთ უპყრია სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლება, 1919 წლის 22 თებერვალს ნაციონალური კრება მას ირჩევს პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად. ამ პოსტზე პილსუდსკი დარჩა 1922 წლის 12 დეკემბრამდე. 1919-20 წელს პილსუდსკი მეთაურობდა შეიარაღებულ ბრძოლას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. დასტოვა რა 1922 წელს პრეზიდენტის პოსტი, პილსუდსკიმ დაიკავა პოლონეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის პოსტი, მაგრამ მალე, 1923 წლის მაისის ბოლოს, ამ თანამდებობასაც ტოვებს და სახლდება თავის მამულში სულეიუვეკში (ვარშავის მახლობლად) მიატოვა რა აქტიური მონაწილეობა მთავრობაში, პილსუდსკი 1923—26 წლების პერიოდს იყენებს თავისი გავლენის გასაძლიერებლად არმიაში და 1926 წლის მაისში, ეყრდნობა რა ერთგული ჯარის ნაწილებს, ამხობს ვიტოსის მთავრობას და ხელში იგდებს ძალაუფლებას. 1921 წლის 31 მაისს პილსუდსკის ირჩევენ პოლონეთის პრეზიდენტად, მაგრამ ის უარს ამბობს ამ პოსტის დაკავებაზე, თავის მაგიერ კანდიდატად აყენებს ახლანდელ პრეზიდენტს მოსციცკის და იტოვებს თავისთვის პოლონეთის შეიარაღებული ძალების და სამხედრო სამინისტროს გენერალური ინსპექტორის პოსტს. 1922 წლის 2 ოქტომბერს პილსუდსკი სათავეში ჩაუდგა მთავრობას, რომელმაც იარსება 1928 წლის 27 ივნისამდე. ის მეორედ ჩაუდგა სათავეში მთავრობას, რომელმაც იარსება 1930 წლის აგვისტოდან 1930 წლის 4 დეკემბრამდე. ყველა კაბინეტში 1926 წლის მაისიდან პილსუდსკის ეჭირა სამხედრო მინისტრის პოსტი, ითვლებოდა რა ამავე დროს პოლონეთის შეიარაღებული ძალების გენერალურ ინსპექტორად.

პილსუდსკის ხელთ ეპყრა მთელი ძალაუფლება და წარმოადგენდა პოლონეთში გაბატონებული რეჟიმის იდეურ ხელმძღვანელს. იგი სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით და სიკვდილამდე პოლონეთის სახელმწიფოს პოლიტიკის წარმართველი იყო. (ადს).

საგაზაფხულო თესვა 10 მაისისათვის

დათესილია 22.121 ჰექტარით მეტი, ვიდრე გასულ წელს

(საქ. მიწსახკომის ცნობების მიხედვით)

რაიონები	დათესილია ჰექტარებში	გეგმის შესრულება პროცენტებში
ახალქალაქის	27.589	91,2
ბოგდანოვკის	12.309	96,6
ახალციხის	**10.769**	**100,2**
ადიგენის	8.279	89,5
ტოლოშის	7.456	94,2
ხაშურის	**22.683**	**100,6**
გორის	16.638	97,8
კასპის	**8.480**	**100,4**
ბორჯომის	3.960	77,2
გურჯაანის	**10.422**	**101,4**
სიღნაღის	19.408	97,5
თელავის	**15.359**	**100,5**
ყვარელის	6.374	93,8
ლაგოდეხის	5.733	68,0
ტფილისის	**10.109**	**101,2**
ყარაიას	3.290	90,8
ბორჩალოს	6.691	89,2
ლიუქსემბურგის	**3.628**	**108,5**
წალკის	16.717	92,5
დუშეთის	**10.069**	**101,3**
ალბულაღის	**7.971**	**107,3**
საგარეჯოს	**11.157**	**103,9**
ბაშკიჩეთის	7.322	93,2
თიანეთის	5.594	80
სამხრეთ-ოსეთი	20.346	80,7
სულ აღმოსავ. საქართვ.	**278.353**	**93,7**
ქუთაისის	**24.989**	**101,6**
სამტრედიის	12.514	99
ხონის	**10.066**	**101**
ვანის	**8.885**	**101,8**
ბაღდადის	**5.420**	**100,1**
ზესტაფონის	**9.176**	**100,6**
ჩხარის	**8.340**	**100,5**
ჭიათურის	**28.907**	**104,3**
ხარაგოულის	9.757	99,6
ოკრიბის	8.777	87,9
ონის	5.413	97,6
ამბროლაურის	8.618	99,7
ცაგერის	8.171	98,7
ჩოლოურის	**1.446**	**105,5**
აბაშის	14.551	95,4
სენაკის	16.732	99,9
მარტვილის	**14.420**	**103,3**
ზუგდიდის	12.589	76,6
ხობის	9.142	96,7
წალენჯიხის	4.387	68,1
ჩხოროწყუს	9.301	99,4
მახარაძის	7.165	99,8
ლანჩხუთის	7.174	68,4
ჩოხატაურის	6.490	86,5
ზემო-სვანეთის	1.250	62,2
ფოთის	**784**	**130,7**
აფხაზეთის ს.ს.რ.	22.568	40,4
აჭარისტანის სსრ.	14.188	67,0
სულ დასავლეთ საქართველოში	**291.220**	**85,0**
სულ საქართველოში	**569.573**	**89,1**

ჩაი

კრეფა საბჭოთა მეურნეობებში

10 მაისისათვის

„საქ. ჩაის" საბჭოთა მეურნეობებმა წელს უნდა მოკრიფონ სულ **2.548.307** კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. 10 მაისისათვის მოკრეფილი იყო 73.457 კილო, რაც მაისის გეგმის (566.679 კილოგრამი) 13 პროცენტს შეადგენს.

ცალკე საბჭოთა მეურნეობების მიხედვით ჩაი მოკრეფილია:

რაიონები	მოკრეფილია კილოგრამებში	მაისის გეგმის შესრულება პროცენტებში
ნაღობაურის	3.559	10,0
ჩაქვის	11.137	11,0
ქობულეთის	13.914	13,4
ლაითურის	5.776	7,8
ნასაკირალის	15.786	15,4
ხონის	4.586	54,7
დიდი-ჭყონის	5.361	13,7
ლესიჭინის	225	31,9
ნარაზენის	3.054	23,8
ჯოლევჯიანის	311	7,0
წალენჯიხის	64	0,5
აჩიგვარის	4.537	8,9
კოდორის	147	19,5
სულ	73.457	13,0

შენიშვნა: ცნობა წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის შესახებ ეკუთვნის 5 მაისს.

საფრანგეთ-პოლონეთის მოლაპარაკება

ლავალის საუბარი ბეკთან

ვარშავა, 11 მაისი. პრესა დღეს კმაყოფილდება მოკლე ცნობის მოთავსებით ლავალის შეხვედრისა და ვარშავაში ყოფნის შესახებ. გუშინ ლავალს პირველი ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა ბეკთან.

ვარშავა, 11 მაისი. დღეს განახლებული არა ოფიციალური დარბაზობა და ლავალის მოლაპარაკება ბეკთან დასრულდა.

დღეს ლავალი მიიღო პრეზიდენტმა მოსციცკიმ, რომელმაც მის პატივსაცემად საუზმე გამართა. ყურადღებას იპყრობს ის, რომ არც ბეკთან გუშინდელი სადილის დროს, არც პრეზიდენტთან დღევანდელი საუზმის დროს ერთმანეთისათვის სიტყვებით არ მიუმართავთ. სიტყვები არ ყოფილა აგრეთვე საზეიმო საუზმეზე, რომელიც ფრანგი ჟურნალისტების პატივსაცემად პრესის განყოფილების უფროსმა გამართა.

დღეს ვარშავაში მიიღეს იმ სიტყვის შინაარსი, რომელიც გუშინ მიუნხენში პოლონეთის ელჩმა ლიპსკიმ წარმოსთქვა. ამ სიტყვამ, რომელიც თავდება შეძახილით ჰიტლერის პატივსაცემად, ხელი ვერ შეუწყო ატმოსფეროს გაუმჯობესებას ვარშავაში.

ორივე მხარე ცდილობს ჩაუნერგოს ჟურნალისტებს ვარშავის მოლაპარაკების შედეგთა მიმართ ზომიერი ოპტიმიზმის განწყობილება. იმწმუნებიან, რომ გუშინდელი გულცივი, თავდაჭერილი კილოს შემდეგ ატმოსფერო დღეს უფრო თბილი გახდა, მაგრამ ამის დასასაბუთებლად არ მოჰყავთ არავითარი კონკრეტული ფაქტი ან ახალი მომენტები საფრანგეთ-პოლონეთის ურთიერთობაში. არ არის ნიშნები, რომ პოლონეთს თუნდაც რომელიმე აქტუალურ პოლიტიკურ პრობლემაში ხელი გაეწოდებოს თავის მოკავშირისათვის. ასევე არ მიელიან, რომ პოლონეთს განზრახვა ჰქონდეს ხელიდან გაუშვას შემდგომი მანევრირების თუნდაც ერთი შესაძლებლობა.

პოლიტიკურ წრეებში განსაკუთრებული სკეპტიციზმით უყურებენ ინსპირირებულ ცნობებს, რომ დარბაზობამ „ატმოსფეროს შემსუბუქებას“ ხელი შეუწყოო, ანდა ახალ ურთიერთ რწმუნებებს, რომ „საფრანგეთ-პოლონეთის კავშირს მოქმედება არ შეუწყვეტიაო“. ამასთან საფუძვლიანად აღნიშნავენ, რომ ამგვარი განცხადებებით უკვე გამოვიდნენ, კერძოდ, ერთი წლის წინათ, ბარტუს დარბაზობის დროს (ადს).

პოლონეთის მთავრობის ოფიციალური ცნობა

ვარშავა, 11 მაისი. ლავალის და ბეკის მოლაპარაკების დამთავრებისას შემდეგი ოფიციალური ცნობა გამოქვეყნდა:

„მეგობრულმა საუბარმა, რომელიც წარმოებდა მინისტრ ბეკსა და ლავალს შორის უკანასკნელის ვარშავაში ყოფნის დროს, შესაძლებლობა მისცეს პოლონეთის და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს გულახდილად და გულითადად გაეზიარებიათ ერთმანეთისათვის თავისი აზრები უმნიშვნელოვანეს საერთო საკითხებზე და განსაკუთრებით იმ საკითხებზე, რომლებიც შეიძლება ამჟამად ორივე მთავრობას აინტერესებდეთ. სჯაბაასი, რომელიც ამგვარად მოხდა, გამსჭვალული იყო ურთიერთ ნდობის და გულწრფელი ურთიერთგაგების გრძნობებით. ამ სჯაბაასმა შესაძლებლობა მისცა ორივე მხარეს დაედასტურებიათ მათი ცდების ერთიანობა, რომლებიც მიმართულია ერთიდაიმავე მიზნებისაკენ: მშვიდობიანობის და უშიშროების შენარჩუნება ევროპაში ფართო საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციის გზით, რომელიც ღია იქნება ყოველგვარი ხელშეწყობისათვის. საფრანგეთის და პოლონეთის მინისტრებმა თავის თავს მიულოცეს, რომ მათ შეუძლიათ მშვიდობიანობის ამ ნებასურვილს დაუმორჩილონ ის მჭიდრო სოლიდარობა, რომელსაც საფრანგეთ-პოლონეთის კავშირი გამოხატავს (ადს).

პოლონეთს „აშინებს“ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება

ლონდონი, 11 მაისი. ინგლისური გაზეთების ვარშაველი კორესპონდენტების საერთო შთაბეჭდილება ისეთია, რომ ლავალს ძნელი ამოცანის შესრულება მოელის საბჭოთა კავშირისადმი პოლონეთის მტრული დამოკიდებულებისა და იმ ეჭვიანობის გამო, რომლითაც პოლონელთა წრეები საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას უყურებენ. „ტაიმსის“ ვარშაველი კორესპონდენტის სიტყვით, ვარშავაში აღიარებენ, რომ საფრანგეთი ხელშეკრულების დადებით არ მოქცეულა არალოიალურად პოლონეთის მიმართ, მაგრამ გამოთქვამენ შიშს იმ პოლიტიკურ ზრახვების მიმართ რომლებიც, ვითომ, ამ ხელშეკრულებაში იმალება. პოლონეთის და საფრანგეთის პოლიტიკის მეთოდებში, — წერს კორესპონდენტი, არის ძირეული უთანხმოებანი, რომლებსაც ამწვავებს დასავლეთ ევროპაში საბჭოთა კავშირის გავლენის სულ უფროდაუფრო ზრდა (ადს).

საფრანგეთი და რუმინეთი

ბუქარესტი, 9 მაისი. რუმინეთის სააგენტოს გადმოცემით, ტიტულესკუმ რუმინეთში ჩასულ ბონკურის პატივსაცემად გამართულ სადილზე განაცხადა:

„საფრანგეთსა და რუმინეთს შორის ინტერესთა ისეთი ერთიანობაა, რომ ერთის ბედნიერება არ შეიძლება შეიქმნას მეორის კეთილდღეობის მიუღწევლად. საფრანგეთისადმი ერთგულებაში რუმინეთმა ჰპოვა თავისი განთავისუფლების გზა და შემდეგშიც გამონახავს საშუალებებს სამუდამოდ განამტკიცოს თავისი ეროვნული ერთიანობა. ევროპა უნდა შეეჩვიოს მოეპყრას მსოფლიო ომის შედეგად შექმნილ პოლიტიკურ ერთეულებს, როგორც რეალურ ფაქტებს, რომლებიც განუწყვეტლივ ვითარდებიან და არავის ეკითხებიან არსებობის უფლებას. რა გარემოებაც უნდა შეიქმნას, ეს ერთეულები არასოდეს არ მისცემენ ვისმეს მათი მოსპობას. უკვე დანგრეულის კვლავ შექმნა იმ საბაბით, რომ ამას სამართლიანობა მოითხოვს,—არა თუ ფუჭი ცდაა, არამედ ნიშნავს ისეთი მდგომარეობის აღდგენას, რომლის გარდუვალი შედეგი იქნება მსოფლიო ომი. რჩება ერთადერთი მეთოდი: სახელმწიფოთა გაერთიანება საერთო ხასიათის დიდ ინტერესთა საფუძველზე. ცენტრალური ევროპის და ბალკანეთის ქვეყნების დამსახურება ის არის, რომ მათ შეიგნეს ეს ჭეშმარიტება და არ დაუზოგავთ მეცადინეობა მის განსახორციელებლად. ისინი გამუდმებით აფართოვებდენ მის გამოყენების სფეროს და არ თანხმდებოდენ ამ სფეროს შეზღუდვას“.

„საფრანგეთის დამსახურება,—განაგრძობს ტიტულესკუ, მდგომარეობს ამ პოლიტიკის წაქეზებაში. დღეს უკვე არ შეიძლება დავაშოროთ საფრანგეთი მცირე და ბალკანეთის ანტანტებს. მაგრამ თუ ჩვენ გვინდა ერთიმეორეს არ დავშორდეთ, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ გვსურს სხვებს დავშორდეთ. აი ამიტომ ჩვენ გულწრფელი სიხარულით მივესალმებით საფრანგეთ-იტალიის და საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის დაახლოვებას.

დასასრულ ტიტულესკუმ აღნიშნა ბონკურის პირადი როლი საფრანგეთის ახლანდელი საგარეო პოლიტიკის დარგში ამჟამად მიღწეულ შედეგებში.

ბონკურმა საპასუხო სიტყვაში აღნიშნა რუმინეთის და საფრანგეთის მეგობრობა და თქვა, რომ უთანხმოებანი ლათინურ ხალხებს შორის უნდა მოისპოს საფრანგეთ-იტალიის დაახლოვების გზით, რომელიც წარმოადგენს ცენტრალურ ევროპაში მშვიდობიანობის ორგანიზაციის პირობას. ბონკურმა განაცხადა:

„არანაკლებ აუცილებელია დაახლოება თქვენი მოსაზღვრე დიდ სახელმწიფოსთან,—ესოდენ ფართო, დასახლებულ, მდიდარ და მომავლის იმედებით აღსავსე სახელმწიფოსთან. უეჭველად მართალია, რომ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება, რომელსაც მე გადაჭრით ვესწრაფოდი და რომელიც ახლა უკვე დადებულია, წარმოადგენს მტკიცე საფუძველს აღმოსავლეთ-ევროპაში უშიშროების კოლექტიური ორგანიზაციისათვის“. (ადს).

ჩინეთის წითელი არმიის წარმატება

ახალი ქალაქების აღება

ტოკიო, 11 მაისი. დემპო ცუსინის სააგენტოს ცნობით, ჩინეთის წითელმა არმიამ ჩუ დის და მაო ძედუნის სარდლობით 5 მაისს დაიკავა ქალაქი სიჩანი, სიჩუანის პროვინციაში.

ჩინეთის შემტევი ათიათასიანი წითელი არმიის წინსვლის, — წერს დემპო ცუსინი, — ხელს უწყობს ის, რომ.

„წითელი არმიის წინააღმდეგ გაგზავნილი ჯარები არ ემორჩილებიან ნანკინის მთავრობის განკარგულებებს“. ამავე დროს; „მოსახლეობა ჩინეთის წითელი არმიის სამოქმედო რაიონებში, —განაგრძობს გაზეთი, — დიდი სიმპატიით უყურებს წითელ არმიას, ვინაიდან ეს მოსახლეობა მეტად მტრულად არის განწყობილი ნანკინის ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელმაც გააჩანაგა ეს რაიონები გადასახადებით და რეკვიზიციებით“.

ისარგებლა რა გენერალ ლიუ ვენგუის აჯანყებით ნანკინის მთავრობის წინააღმდეგ, ჩინეთის წითელმა არმიამ გამოჰყო განსაკუთრებული ჯგუფი და დაიწყო შეტევა შენსის პროვინციის სამხრეთ ნაწილში. თუმცა, — წერს დემპო ცუსინი, — ჩანკაი-ში პირადად ხელმძღვანელობს ოპერაციებს წითელი არმიის წინააღმდეგ, პროვინციალური სამხედრო ბელადები არ იჩენენ ჩანკაი-შისთან თანამშრომლობის დიდ სურვილს. მათ ეშინიათ, რომ მოექცევიან ნანკინის მთავრობის სრული კონტროლის ქვეშ და დაჰკარგავენ ყოველგვარ დამოუკიდებლობას, ამიტომ, დასძენს დემპო ცუსინი, ნანკინის მთავრობას წითელ არმიასთან ბრძოლაში სულ უფრო და უფრო მეტი სიძნელეები ელობება წინ. (ადს).

—○—

პირველი გარიგება

აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინიგზის საფასურში საქონლის მიწოდების ხარჯზე

ტოკიო, 10 მაისი. „ასახი“ იტყობინება, რომ ს.ს.რ. კ-ის სრულუფლებიან წარმომადგენლობასა და იაპონურ კამპანია „იასაკა სიოძის“ შორის დადებულია პირველი სასაქონლო გარიგება აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის საფასურში საქონლის მიწოდების ხარჯზე. სავაჭრო წარმომადგენლობამ კომპანიისაგან იყიდა 200 ტონა მანილის ბაგირი (ადს).

—□—

თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის სიტყვა

პრესის ყურადღების ცენტრშია

სტამბოლი, 11 მაისი. პრესის ყურადღების ცენტრში დგას ატათურქის გამოსვლა სახალხო პარტიის კონგრესის გახსნაზე. სიტყვის ის ნაწილი, რომელშიაც ატათურქი შეეხო თურქეთის ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან, გამოყოფილია განსაკუთრებული სათაურებით რომლებშიაც მოყვანილია ატათურქის სიტყვები;

„თურქეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა ურყევია. იგი წარმოადგენს საერთაშორისო მშვიდობიანობის განმამტკიცებელ ფაქტორს. ჩვენი მეგობრობა საბჭოთა კავშირთან, როგორც ყოველთვის, მტკიცე და გულწრფელია. საბჭოთა კავშირმა მხარი დაუჭირა ჩვენს თეზისს სრუტეების შესახებ“.

საზეიმოდ მორთული სტამბოლის მოედნებზე რადიომიმღებებთან მრავალი ათასი ხალხი ტაშს უკრავდა ატათურქის სიტყვებს თურქეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის შესახებ.

არც ერთი მშრომელი უობლიგაციოთ

როგორ მოიპოვეს წარმატება

ორჯონიკიძის სახელობის რაიონმა (ტფილისი) სესხის რეალიზაციაში მოწინავე ადგილი დაიჭირა. 11 მაისისათვის სესხზე ხელმოწერის ვარაუდი რაიონს შესრულებული ჰქონდა 12 პროცენტის გადაჭარბებით; რაც მთავარია, ამ რიცხვისათვის რაიონში სესხზე ხელი მოწერილი ჰქონდა აღრიცხულ მუშა-მოსამსახურეთა 96 პროცენტს.

ეს წარმატება იმის შედეგია, რომ რაიონის პარტიულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა ფართოდ გაშალეს მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობა. კარგად მუშაობდა აგრეთვე რაიშემნახველი სალარო (გამგე ლ. ქავთარაძე), რომელიც თავის სამოქმედო რაიონში მდებარე წარმოება-დაწესებულებებს კარგად იცნობს. ყოველ მათგანში გამოყოფილი ჰყავს თავისი რწმუნებულები და მათთან აქვს ცოცხალი კავშირი.

საკავშირო მთავრობის დეკრეტის გამოქვეყნებისთანავე — 5 მაისს შემნახველი სალარო რწმუნებულების შემწეობით დაუკავშირდა წარმოება-დაწესებულებებს, გაუხსნა მათ პირადი ანგარიშები და განუწყვეტლივ ხელმძღვანელობდა ხელმოწერის საქმეს.

მასების დიდი ენთუზიაზმისა და შემნახველი სალაროს კარგი მუშაობის შედეგად ორჯონიკიძის რაიონში მდებარე 480 წარმოება-დაწესებულებიდან 210-მა (აბრეშუმის და ავეჯის ფაბრიკები, რუსთველის თეატრი, სახუნივერსიტეტი და სხვ.). კამპანიის პირველ დღესვე დაამთავრა სესხის რეალიზაცია. დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სესხის გავრცელება შეუკავშირებელ მოსახლეთა შორის. 11 მაისისთვის სესხზე მოწერილი ქონდა ხელი 8 ათასამდე შეუკავშირებელ მოსახლეს.

ამასთან ხელმოწერა ტარდება სრული ნებაყოფლობითი პრინციპის დაცვით.

უნდა აღინიშნოს, რომ რაიშემნახველ სალაროს კარგად აქვს დაყენებული ხელმოწერის აღრიცხვა და თავიდან აცილებულია ორმაგი აღრიცხვის შემთხვევები.

სესხის კამპანიის უკეთ ჩატარებისთვის ორჯონიკიძის რაიშემსალაროს სოცშეჯიბრებაში გამოწვეული ჰყავს ბათუმის, ქუთაისის, და კიროვის რაიონის (ტფილისი) შემნახველი სალაროები. თავის რაიონში მუშაობის ძირითადად დამთავრებისთანავე ორჯონიკიძის რაიშემნახველმა სალარომ კვალიფიციური მუშაკები დაახმარა ახლადმოწყობილ თავის მეზობელ კიროვის რაიონის შემნახველ სალაროს.

ორჯონიკიძის რაიშემნახველი სალარო ვარაუდის გადაჭარბების შემდეგაც შეუსუსტებლივ განაგრძობს სესხის გავრცელებას, რომ განახორციელოს კამპანიის ერთერთი ძირითადი ლოზუნგი — „ორდენოსანი საქართველოს ნურც ერთი მშრომელი ნუ დარჩება სესხზე ხელმოუწერელი“.

ამას გარდა, რაიშემნახველი სალარო უკვე მზად არის პირველი შენატანების ვადაზე და მთლიანად ასაკრებად. ამ მიზნით წარმოება-დაწესებულებების საანგარიშო აპარატს მან 10 მაისისათვის დაუგზავნა ინსტრუქციები, მითითებები და პირადი ანგარიშების ასლები. დღეს 14 მაისს მოწვეულია წარმოება-დაწესებულებათა საანგარიშო დარგის წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც დამუშავდება ინსტრუქციები ხელმოწერილი თანხის დროზე და უკლებლივ აკრებისათვის.

ნ. —ძე.

ყველა ხელს აწერს

(ფოთი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

7 მაისს დაიწყო სესხზე ხელმოწერა. ამავ დღეს ნავთსადგურის ყველა მუშას უკლებლივ ჰქონდა ხელი მოწერილი. ასეთივე წარმატებით ჩატარდა ხელმოწერა ხე-ხერხ და ფოლაქის ქარხნების მუშებს შორის.

ახალ სესხზე ხელის მოწერამ ფოთის მუშა-მოსამსახურეებში საზეიმო ხასიათი მიიღო. 7 მაისს საღამოს, 7 საათზე გაიმართა დემონსტრაცია კომკავშირის საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელობით. მწყობრი რიგებით მოდიან კომკავშირელები, პიონერები, მათ მიჰყვებიან სიმღერით და პლაკატ-ლოზუნგებით ფოთის მუშა-მოსამსახურეთა ასეულები.

სესხზე ხელმომწერთა რიცხვი ყოველდღიურად იზრდება. 9 მაისს ახალ სესხზე ხელი მოწერილი ჰქონდა 3025 კაცს 650.000 მანეთის რაოდენობით.

სესხის ქრონიკა

ხელმოწერა ნავარაუდევ თანხას მიუახლოვდა

გორის რაიონში ხელმოწერილი თანხა 848 ათას მანეთს უდრის, რაც ნავარაუდევი თანხის 90 პროცენტს შეადგენს. მუშა-მოსამსახურეთა შორის გავრცელებულია ნავარაუდევი გეგმის 112 პროცენტი, კოლმეურნეთა შორის—61 პროცენტი, ერთპიროვნულ გლეხთა შორის—85 პროცენტი და შეუკავშირებელ მოსახლეობაში—122 პროცენტი. სესხზე ხელის მოწერა გრძელდება ლოზუნგით: „არც ერთი მშრომელი სესხის გარეშე“.

ხელი მოაწერეს 11.000 მანეთის ობლიგაციას

საკავშირო ჩაის ტექნოლოგიური ტექნიკუმის (ქალაქ მახარაძე) მასწავლებლობამ, თანამშრომლებმა და მსმენელებმა ხელი მოაწერეს 11 ათასს მანეთის ობლიგაციას და სოცშეჯიბრებაში გამოიწვიეს პედტექნიკუმი და სრული საშუალო სკოლა.

ი. შევარდნაძე.

☐ ☐ ☐ ☐ ☐ ☐

20 კულტურული ორთქლმავალი.

სურათზე: სტალინის სახ. ქარხანაში ამხ. კაზიზიშვილის ბრიგადის მიერ ბათომის დეპოსათვის შეკეთებული კულტურული ორთქლმავალი № 185.

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატთან არსებული საბჭოს 1-ლი პლენუმი

მოსკოვი, 11 მაისი. 10 მაისს საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. პიატაკოვის მოხსენების გამო. დიდი ინტერესი გამოიწვია სამხრეთის მეტალურგიის სამი უდიდესი საწარმოს დირექტორების—ამხ. **გვახარიას** (მაკეევკის ქარხანა), ამხ. **ბირმანის** (პეტროვსკის სახელობის ქარხანა) და ამხ. **მანაენკოვის** (ძერჟინსკის სახელობის ქარხანა) გამოსვლებმა რენტაბელური მუშაობის საკითხზე.

ამხ. **გვახარიამ** მიაწოდა თათბირს მთელი რიგი ცნობები მაკეევკის ქარხნის ბრწყინვალე მიღწევათა შესახებ. ერთი ტონა გადაკეთებული თუჯის ღირებულება ა.-წლის აპრილში შემცირდა 48 მან. 74 კაპეიკამდე, მაშინ როცა გასულ წელს იგი უდრიდა 59 მან. 09 კაპ.-ს. მკვეთრად შემცირდა სათბობის, ნედლეულის და სხვ. ხარჯვა. საბრძმედო ღუმელების მარაგი მოცულობის გამოყენების კოეფიციენტი მაისის პირველი ათი დღის განმავლობაში შეადგენდა 0,90, ხოლო უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში — 0,85—0,86. ქარხანა მტკიცედ მიდის იქითკენ, რათა ერთი ტონა გადაკეთებული თუჯის თვითღირებულება 45 მანეთს არ აღემატებოდეს. მკვეთრად შემცირდა აგრეთვე ფოლადის და ტკეცილის თვითღირებულება.

— ქარხნის მუშაობის შემდგომი პერსპექტივები, — განაცხადა ამხ. გვახარიამ, —სავსებით ხელსაყრელია. წელს ვკისრულობთ ვალდებულებას მივსცეთ ჩვენს ქვეყანას სულ მცირე 6—7 მილიონი მანეთის მოგება.

ამხ. გვახარია, მიმართავს რა ამხ. ბირმანს და მანაენკოვს, აღნიშნავს, რომ მათ პირველ რიგში შეუძლიათ და უნდა გადავიდნენ რენტაბელურ მუშაობაზე.

ამხ. **მანაენკოვი** თავის გამოსვლაში აცხადებს, რომ ძერჟინსკის სახელობის ქარხანა უშუალოდ უახლოვდება რენტაბელურ მუშაობას. უკვე ივნისში ქარხანა წაუგებლად იმუშავებს, ხოლო შემდგომ თვეებში მოგებასაც მოგვცემს. ამხ. მანაენკოვი თხოვს ამხ. ორჯონიკიძეს გასცეს ბრძანება ამხ. ძერჟინსკის ქარხნისადმი პირველი ივლისიდან წაუგებელ სამუშაოზე გადასვლის შესახებ.

კამათში მონაწილეობა მიიღო ენერგეტიკის მთავარ სამმართველოს უფროსის მოადგილემ ამხ. ოგნატმა, რომელმაც ამხ. ორჯონიკიძეს მისცა პირობა, რომ წელს, გეგმასთან შედარებით, გაწეული იქნება სულ მცირე 10 მილიონი მანეთის ეკონომია სათბობის ხარჯვის, ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირებით და სხვ.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე ამხ. **პიტერსკი** (მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის მუშათა მომარაგების მთავარი სამმართველო), **ლიხაჩოვი** (სტალინის სახელობის ავტო-ქარხანა), **ბრუსკინი** (ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხანა), **სვისტუნი** (ხარკოვის სატრაქტორო ქარხანა), **ფოკინი** (სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანა), **ვინიკოვი** (ტულის ქარხანა) და **ოტსი** (კიროვის სახ. ქარხანა-ლენინგრადი).

საღამოს სხდომის დასასრულს გამოვიდა მძიმე მრეწველობის სახ. კომისრის მოადგილე ამხ. მ. მ. **კაგანოვიჩი**.

მოსკოვი, 11 მაისი. 11 მაისს დილით გრძელდებოდა განხილვა ამხ. **პიატაკოვის** მოხსენებისა. მძიმე მრეწველობის 1934 წლის ბალანსის შესახებ. ყურადღების ცენტრშია — რეზერვთა მობილიზაციის, რენტაბელური მუშაობის, წარმოების კულტურის საკითხები.

— რეზერვები უზარმაზარია, — აცხადებენ ქვანახშირის, ნავთის მრეწველობის მუშაკები, მანქანათმშენებლები, რომლებიც ტრიბუნაზე ერთიმეორეს სცვლიან.

დიდია გამოუყენებელი რესურსები სათბობ მრეწველობაში, უდავოა მომგებიან მუშაობის შესაძლებლობანი — აცხადებენ ამხ. **პეტერსონი** (აზნავთი), ამხ. **ნიკომენიაშჩი** (შახტანტრაციტი), ამხ. **ზუბკოვი** (დონბასანტრაციტი), ამხ. **ზორინი** („არტემუგოლი“), მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა, მეტალურგიული ქარხნების მთელი რიგი ხელმძღვანელებისაგან განსხვავებით, ვერ შესძლო მიეცა პლენუმისა და ამხ. ორჯონიკიძისათვის პირობა, რომ წელს დოტაციებზე ხელს აიღებენ და რენტაბელურად იმუშავებენ. ქვანახშირის და ნავთის მრეწველობის მუშათა არმია ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ მობილიზებული ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაჭრისათვის საბრძოლველად.

მანქანათმშენებლობაში არსებული რეზერვების შესახებ ილაპარაკეს ამხ. **ვლადიმიროვმა** (ურალის მანქანათმშენებლობის ქარხანა) ამხ. **კირილკინმა** (კრამატორსკის მანქანათმშენებელი ქარხანა), ამხ. **ბუდნიაკმა** (ქარხანა „ბარიკადი“), ამხ. **სტეფანოვმა** (საჩარხო ინსტრუმენტების მთავარი სამმართველო), ამხ. **კოროლევმა** (ავიაციის მრეწველობის მთავარი სამმართველო) და სხვ.

ამხ. **ტალმა** (გაზეთ „ზა ინდუსტრიალიზაციუს“ რედაქტორი) აღნიშნა ფრიად საგულისხმო მოვლენა. წინათ სამეურნეო მუშაკთა სხდომებზე ჩვეულებრივ ჭარბობდა რაოდენობრივი გეგმისათვის ბრძოლის საკითხები. სამეურნეო მუშაკთა უკვე გასული წლის სექტემბრის თათბირზე ყურადღების ცენტრში იდგა რეზერვთა მობილიზაციის, წარმოების კულტურის საკითხები. ხოლო მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის საბჭოს პლენუმზე ამ საკითხებს გამოსული ამხანაგები უფრო ღრმად აყენებენ როგორც ტექნიკის, ისე ფინანსირების და ეკონომიკის მხრივ. ამაში ჩანს მძიმე მრეწველობის მუშაკთა არმიის უდიდესი ხარისხობრივი ზრდა.

მაგრამ ამხ. ტალი აღნიშნავს, რომ რენტაბელური მუშაობის საკითხს ბევრი მუშაკი ჯერ კიდევ გაუბედავად უდგება. ამ მხრივ დამახასიათებელია ანკეტა „ილვა“, რომელიც გაზეთმა „ზა ინდუსტრიალიზაციუ“ საბჭოს წევრთა შორის ჩაატარა. ანკეტაზე გარკვეული პასუხი ყველას არ მიუცია ამხ. ფუშმანი (სავაგონო მრეწველობის მთავარი კომიტეტის უფროსი) გვპირდება, რომ რენტაბელურად იმუშავებენ 1936 წლიდან, ამხ. ზოლოტარიოვი (ლითონის ნაწარმთა მთავარი კომიტეტის უფროსი) დოტაციაზე უარს ამბობს მხოლოდ 1936 წლის პირველი კვარტალიდან, ამხ. ზებეცკი (მსუბუქი მრეწველობის მთავარი კომიტეტის უფროსი) მზად არის უდოტაციოთ იმუშაოს 1936 წლიდან მხოლოდ იმ პირობით, თუ არ შეიცვლება მანქანების ნომენკლატურა, რომელსაც მთავარი კომიტეტის ქარხნები უშვებენ. ანკეტას დუმილით შეხვდნენ, პასუხი არ გასცეს ამხ. ბირმანმა (პეტროვსკის სახელობის ქარხანა) მაკაროვმა (სტალინის მეტალურგიული ქარხანა) და სხვ. მხოლოდ ამხ. პუჩკოვმა (ენაკიევკის მეტალურგიული ქარხანა) განაცხადა, რომ 1935 წლის 15 ივლისიდან **ქარხანა დაიწყებს მუშაობას საბიუჯეტო დანამატის მიუღებლად**

სინთეტიური კაუჩუკის მრეწველობის გამარჯვებანი მომგებიანი მუშაობისათვის ბრძოლაში გააცნო თათბირს ამხ. **ოსიპოვმა** მკვეთრად შემცირდა ნედლეულის ხარჯვა. კაუჩუკის გამოსავალი, აპრილში გადიდდა 23 პროცენტამდე. გასული წლის 11 პროცენტის მაგივრად. სინთეტიური კაუჩუკის გამოშვების პროგრამა წელს 25 პროცენტის გადამეტებით იქნება შესრულებული.

დილის სხდომის დახურვის წინ გამოვიდა ამხ. **სოროკინი** (პარტიულ კონტროლის კომისია). მან აღნიშნა ის უზარმაზარი რეზერვები, რომლებსაც შეიცავს ტექნიკური ნორმირების უკეთ ორგანიზაცია, შრომის ანაზღაურების მოწესრიგება და სხვ.

მოსკოვი, 11 მაისი. საბჭოს 11 მაისის საღამოს სხდომაზე ლითონის მრეწველობის მთავარ სამმართველოს უფროსის ამხ. **გურევიჩის** გამოსვლით დამთავრდა კამათი ამხ. **პიატაკოვის** მოხსენების გარშემო. შეეხო რა პლენუმზე გამართულ დისკუსიას შავი მეტალურგიის რენტაბელური მუშაობის შესახებ, ამხ. გურევიჩმა განაცხადა:

— უდავოა, რომ მეტალურგიულ ქარხნებს აქვთ შესაძლებლობა უარი სთქვან დოტაციაზე—ზოგიერთ ქარხანას ეს შეუძლია უფრო ადრე, სხვებს უფრო გვიან. მაკეევკის ქარხნის გამოცდილება ფართოდ უნდა იქნას გავრცელებული.

★

ამხ. პიატაკოვის მოხსენების გამო წინადადებების შესამუშავებლად საბჭომ გამოჰყო კომისია ამხ. **ორჯონიკიძის** თავმჯდომარეობით.

შემდეგ საბჭომ მოისმინა მთავმრეწვმშენის უფროსის ამხ. **გინზბურგის** მოხსენება კაპიტალური მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ.

საბჭოთა კავშირის მძიმე ინდუსტრიის კაპიტალური მშენებლობის მასშტაბები ძალიან დიდია. ამჟამად შენდება ათობით უდიდესი მანქანათმშენებელი საწარმოები, ბრძმედები, მარტენები, ბატაცეი დაზგები, ფერადი მეტალურგიის და ქიმიური მრეწველობის ქარხნები. ბევრი მათგანი ჯერ კიდევ მიმდინარე წელს უნდა ჩადგეს სამექსპლოატაციოდ და ამით კიდევ უფრო გაიზრდება მძიმე მრეწველობის კოლოსალურად გადიდებული საწარმოო სიმძლავრე.

ამასთან მომხსენებელი საბჭოს ყურადღებას მიაქცევს კაპიტალური მშენებლობის სუსტ მხარეებზე, რომლებიც დაძლეულ უნდა იქნან, რათა კიდევ უფრო გაძლიერდეს მშენებლობის ტემპები და გაუმჯობესდეს მისი ხარისხი. მიმდინარე წელს ჩვენ მშენებლობის თვითღირებულება უნდა შევამციროთ 12 პროცენტით და ამ გზით მივიღოთ სულ ცოტა 600 მილიონი მანეთის ეკონომია.

შესვენების შემდეგ ამხ. გინზბურგის მოხსენების გარშემო კამათის გახსნის წინ ამხ. პ. ა. **ბოგდანოვმა**, რომელიც ამ ცოტა ხნის წინად დაბრუნდა საზღვარგარეთიდან, გაუზიარა დამსწრეთ თავისი შთაბეჭდილებანი მრეწველობის სხვადასხვა დარგის ტექნიკის განვითარების მდგომარეობის შესახებ ამერიკის შეერთებულ შტატებში.

საღამოს სხდომის დასასრულს კამათში ამხ. გინზბურგის მოხსენების გარშემო გამოვიდნენ ამხ. **ფიგატნერი** (მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატი) და **შლეიფერი** (გაერთიანება „სტალი“).

საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი უშიშროებისათვის ბრძოლაში

ლავალის ჩამოსვლა მოსკოვში მოასწავებს მთელ რიგ რგოლს იმ ღონისძიებათა გრძელ ჯაჭვში, რომლებსაც ახორციელებენ, საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის დიპლომატია, ისახავენ, რა მიზნათ მიაღწიონ უშიშროების მაქსიმალურ უზრუნველყოფას ევროპაში. საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთ დახმარების პაქტით არ დამთავრებულა ეს ღონისძიებანი. იგი იყო პირველი, მართალია, **ფრიადი დიდი**, მიღწევა, რომელსაც უეჭველად უნდა მოჰყვეს სხვა ღონისძიებანი. თვით საფრანგეთის გარდა ევროპაში ხომ მთელი რიგი სხვა სახელმწიფოებია, რომელთაც გერმანიის სამხედრო თავდასხმის საფრთხე ცოტად თუ ბევრად ემუქრება. ეს სახელმწიფოები **მოცემულ ეტაპზე**, ისე როგორც საფრანგეთი, დაინტერესებულნი არიან მშვიდობიანი მდგომარეობის შენარჩუნებით და მზად არიან შეუერთონ თავისი ღონისძიებანი საბჭოთა კავშირის ღონისძიებებს, **რათა ომის გაჩაღება შეუძლებელი გახდეს**. ამ სახელმწიფოთა რიცხვს, რომლებიც ცდილობენ ასე თუ ისე შეუთანხმონ თავისი პოლიტიკა ომისაგან უშიშროებისათვის ბრძოლის დარგში **საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის პოლიტიკას**, ეკუთვნის უწინარეს **ყოვლისა ჩეხო-სლოვაკია**, რომელიც გერმანიის ფაშიზმის სამხედრო გეგმებში შეტანილია, როგორც დაპყრობის ერთერთი პირველრიგოვანი ობიექტი.

როგორც ჩეხო-სლოვაკიის პრესა იტყობინება, ჩეხო-სლოვაკია უახლოეს დროში საბჭოთა კავშირთან დასდებს ხელშეკრულებას, რომელიც საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების მსგავსი იქნება. არის ნიშნები, რომ რუმინეთის დიპლომატიაც ცდილობს დაამყაროს საბჭოთა კავშირთან უფრო მჭიდრო კონტაქტი უშიშროებისათვის ბრძოლაში თანამშრომლობის ბაზისზე. რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ტიტულესკუს მიერ გამოთქმული აზრები მოწმობენ, რომ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის პაქტს რუმინეთის პოლიტიკურ წრეებში, ფრიად კეთილგანწყობილად შეხვდნენ. ბალტიკის სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების ამ დღეებში შემდგარმა კონფერენციამ, თავის მხრივ, გამოაცხადა, რომ ბალტიკის სამი სახელმწიფო კეთილსასურველად ეპყრობა უშიშროების რეგიონალური (ე. ი. ადგილობრივი ხასიათის) გარანტიების იდეას და მზად არიან „აქტიური მონაწილეობა მიიღონ ყველა მოქმედებაში, რომლის მიზანიც იქნება უშიშროების ასეთივე გარანტიების გაძლიერება აღმოსავლეთ ევროპაში“.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, მთელი რიგი პატარა და საშუალო სახელმწიფოები ამჟამად მიიწევენ პოლიტიკის იმ კურსისკენ, რომელსაც საბჭოთა კავშირი ახორციელებს საფრანგეთთან თანამშრომლობით, ცდილობს რა **მოსპოს აგრესორის** (თავდამსხმელი მხარის) **შესაძლებელი** აქტივობა ევროპაში.

უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირი თავიდანვე ცდილობდა ჩაება რეგიონალური (ე. ი. ადგილობრივი) პაქტების ორბიტში მონაწილეთა რაც შეიძლება მეტი რიცხვი და, რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა ის სახელმწიფოები, რომელთა პოლიტიკაც მეზობლებს ომით ემუქრება, რათა ამგვარად შეებოჭა ისინი სამშვიდობო ხასიათის ვალდებულებებით. ამიტომ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის პაქტი თავდაპირველად არ ყოფილა მოსაზრებული როგორც ორმხრივი პაქტი. როგორც ეს ხელისმოწერის ოქმის IV თავიდან ჩანს, დასახული იყო **ერთდროულად ორი** პაქტის დადება: 1) აღმოსავლეთის უშიშროების ფართო მრავალმხრივი პაქტისა საფრანგეთის მონაწილეობის გარეშე, მაგრამ გერმანიის და პოლონეთის მონაწილეობით **(საბჭოთა კავშირი, გერმანია, ჩეხო-სლოვაკია, პოლონეთი, ლიტვა, ლატვია და ესტონეთი)** და 2) ურთიერთი დახმარების სამმხრივი საგარანტიო პაქტი **საბჭოთა კავშირსა, საფრანგეთსა** და გერმანიას შორის. უკანასკნელი ხელშეკრულების მიხედვით, ამ სამ სახელმწიფოდან **თვითეული ორი** ერთმანეთს უნდა დახმარებოდა ხელშეკრულებაზე — **ხელისმომწერ მესამე მხარის თავდასხმის შემთხვევაში**. სამწუხაროდ, წინააღმდეგობამ გერმანიის და პოლონეთის მხრივ, რომლებმაც გადაჭრით უარი თქვეს მიეღოთ მონაწილეობა უშიშროების უზრუნველყოფის ასეთ კოლექტიურ სისტემაში, აიძულა საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი დაედოთ ერთმანეთთან ორმხრივი საგარანტიო ხელშეკრულება. იგი უშიშროების უზრუნველყოფის მხრივ სცვლის სამმხრივ ხელშეკრულებას გერმანიის მონაწილეობით, რომელიც ვერ განხორციელდა. ასე წარმოიშვა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, რომელიც თავის ძალას ინარჩუნებს **მხოლოდ განზრახული სამმხრივი ხელშეკრულების პროექტით აღნიშნულ ურთიერთობათა ფარგლებში** და კარგავს თავის ძალას (იმ ნაწილში, რომელიც ურთიერთდახმარებას ეხება). თუ აგრესიას მიმმართავს **მეოთხე, აღნიშნულ სამმხრივ ხელშეკრულებაში გაუთვალისწინებელი მხარე**.

საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის პაქტი არცერთი ქვეყნის წინააღმდეგ არ არის მიმართული. მისი დანიშნულებაა **შეასრულოს მუხრუჭის როლი**, რომელმაც უნდა შეაკავოს ევროპაში ახლანდელ ეტაპზე ომის ყველაზე უფრო მოსალოდნელი დამწყების აგრესია. ხელშეკრულება შედგენილია ლოკარნოს შეთანხმებათა მსგავსად ერთა ლიგის წესდების ფარგლებში. მაგრამ ითვალისწინებს ურთიერთი დახმარების ვალდებულებათა განხორციელებას **იმ შემთხვევაშიც, თუ ერთა ლიგის საბჭო ვერ გამოიჩენს უნარს სწრაფად გამოიტანოს გადაწყვეტილება**. ერთა ლიგის საბჭოს გადაწყვეტილებამ რომ კანონიერი ძალა მიიღოს, წესდება მოითხოვს, რათა იგი ერთხმად გამოიტანონ. ასე რომ, თუ, მაგალითად, გერმანიის თავდასხმის გადამწყვეტ მომენტში ვთქვათ პორტუგალია ან შვეიცარია, საბჭოს დანარჩენ წევრთა ნება-სურვილის მიუხედავად, საბჭოთა კავშირის ან **საფრანგეთის** საჩივრის წინააღმდეგ მისცემდა ხმას, — ასეთ შემთხვევაში ერთა ლიგის საბჭო ვერ შესძლებდა რაიმე გადაწყვეტილების გამოტანას. ანგარიშს უწევს რა ასეთი შემთხვევის შესაძლებლობას, — საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის ხელშეკრულება პაქტის მეორე მუხლში ითვალისწინებს მხარეთა „დაუყოვნებლივ დახმარებას და მხარდაჭერას“.

თავისთავად იგულისხმება, რომ საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის პაქტს გერმანიის ფაშისტურ წრეებში განსაკუთრებით მტრულად შეხვდნენ. რატომ? მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის პაქტი **არ წარმოადგენს კავშირს საფრანგეთსა და სსრ კ-ს შორის და, ასეთი კავშირისაგან განსხვავებით, ღია რჩება თვით გერმანიის შესაერთებლად**, — მაინც ჰიტლერული პრესა რაღაც „შეთქმულობაზე“ გაჰკივის. ეს ისტერიკა მთლიანად გამომდინარეობს „მესამე იმპერიის“ საგარეო პოლიტიკის ძირითადი ტაქტიკური დებულებებიდან. **პირველი** გერმანიის ფაშიზმს სურს მის მიერ ამორჩეული ობიექტები ცალცალკე დაამარცხოს და, ბუნებრივია, მას არ უხარია, როცა ისინი, ვისაც იგი ემუქრება, მის თვალწინ ქმნიან შეიარაღებული დაცვის და ურთიერთი დახმარების ერთიან ფრონტებს. **მეორე**, თავისი დაპყრობითი პოლიტიკის განხორციელების დროს გერმანიის ფაშიზმს ესაჭიროება მძლავრი მოკავშირე, და ასეთ მოკავშირედ ჰიტლერი ჯერ კიდევ 1924 წელს თავის წიგნში „ჩემი ბრძოლა“ ინგლისს ასახელებდა. მაგრამ, როგორც ვიცით, გერმანიასთან აშკარა კავშირზე, გერმანიის იმპერიალიზმის დაპყრობითი გეგმების განსახორციელებლად, ინგლისი, ჰიტლერის ცდების მიუხედავად, **ჯერჯერობით არ წავიდა**. ამის გამო, გერმანიის დიპლომატია ამჟამად ყოველღონეს ხმარობს, რათა მიაწიოს, **ყოველ შემთხვევაში, იმას, რომ ინგლისმა ხელი შეუშალოს საფრანგეთს — აღმოუჩინოს საბჭოთა კავშირს —საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის პაქტით გათვალისწინებული დახმარება იმ მომენტში, როცა გერმანია გადაწყვეტს თავს დაესხას საბჭოთა კავშირს**. ფაშისტურ პრესაში გაჩაღებულია გაავთრებული კამპანია, რომელიც ამტკიცებს, რომ, — საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის პაქტი თითქოს ეწინააღმდეგება ლოკარნოს ხელშეკრულებას, რომლის თანახმად ინგლისი ვალდებულია თავისი შეიარაღებული ძალებით დაეხმაროს გერმანიას იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთი თავს დაესხმის მას, ჰიტლერელთა მიზანი ასეთია: **თავდასხმის (აგრესიის) ცნებას დაუქვემდებარონ ის დახმარება, რომლის აღმოჩენა საბჭოთა კავშირისთვის ევალება საფრანგეთს — საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის პაქტის თანახმად იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა კავშირს თავს დაესხა გერმანია.**

გერმანიის დიპლომატია რომ შეთანხმებოდა ინგლისს საბჭოთა კავშირის მიმართ საფრანგეთის ვალდებულებათა ასეთი გაგების შესახებ, ჰიტლერს, დაემყარებოდა რა იგი ლოკარნოს ხელშეკრულებას, რასაკვირველია, შეეძლო მოეთხოვა ინგლისის გამოსვლა საფრანგეთის წინააღმდეგ იმ მომენტში, როცა გერმანია საჭიროდ დაინახავდა საბჭოთა კავშირზე თავდასხმას. აი, რით არის გამოწვეული ის ორზაური, რომელიც გერმანიაში ასტეხეს ლოკარნოს ხელშეკრულების გარშემო.

საქმე ის არის, რომ 1925 წელს გერმანიასა, ბელგიასა, საფრანგეთსა, დიდ ბრიტანეთსა და იტალიას შორის დადებული ლოკარნოს ხელშეკრულების მეოთხე მუხლის §5 მართლაც ავალებს ინგლისს (ისე, როგორც იტალიასა და ბელგიას) დახმარება გაუწიოს საფრანგეთს, თუ მას თავს დაესხა გერმანია და, პირიქით, დახმარება გაუწიოს გერმანიას თუ უკანასკნელს თავს დაესხა საფრანგეთი. ამგვარად, იმ განმარტების მიხედვით, რომელსაც ამ პუნქტს აძლევენ ჰიტლერელები გამოდის, რომ თუ გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს, ხოლო საფრანგეთმა —საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის პაქტით ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად დახმარება გაუწია საბჭოთა კავშირს, ეს იქნებოდა [illegible] თავდასხმა გერმანიაზე იმ მიზეზით, რომ გერმანიას არავითარი თავდასხმა საფრანგეთის საკუთარ ტერიტორიაზე არ მოუხდენია. მაგრამ უნდა ითქვას, რომ საკმაოდ სუსტია ბაზა ამ ფაშისტური არგუმენტაციისა, რომლის მიზანია **ინგლისის ხელით საბჭოთა კავშირისთვის და საფრანგეთისთვის ფასი დაუკარგოს საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის პაქტს**. საქმე ის არის, რომ 1925 წლიდან დღემდე არსებობენ ორმხრივი საგარანტიო შეთანხმებანი საფრანგეთსა და პოლონეთს შორის და საფრანგეთსა და ჩეხო-სლოვაკიას შორის. საფრანგეთ-პოლონეთის შეთანხმების პირველი მუხლი (ანალოგიური მუხლი არის აგრეთვე საფრანგეთ-ჩეხო-სლოვაკიის შეთანხმებაში) ამბობს:

„იმ შემთხვევაში, თუ პოლონეთს ან საფრანგეთს ზიანი მიადგებათ ამა რიცხვით მათსა და გერმანიას შორის დაწესებულ ვალდებულებათა (ე. ი. ლოკარნოს ხელშეკრულებით) შეუსრულებლობისაგან, საყოველთაო მშვიდობიანობის დაცვის მიზნით, საფრანგეთი და პოლონეთი კისრულობენ ურთიერთ ვალდებულებას ერთა ლიგის წესდების მე-16 მუხლის თანახმად **დაუყოვნებლივ გაუწიონ ერთმანეთს დახმარება და მხარდაჭერა, თუ ასეთ შეუსრულებლობას მოჰყვება იარაღისათვის უსაფუძვლოდ მიმართვა**“.

მაშასადამე, თუ გერმანია თვით **საფრანგეთს არ დაესხმის თავს**, მაგრამ ამავე დროს თავს დაესხმის პოლონეთს ან ჩეხო-სლოვაკიას, საფრანგეთი, ზემოთმოყვანილი მუხლის თანახმად, გამოდის გერმანიის წინააღმდეგ, ამასთან ეს გამოსვლა არ იქნება **შეფასებული**, როგორც **აგრესია გერმანიის წინააღმდეგ**, რადგან აღნიშნული ხელშეკრულებანი დადებულ იქნა **ლოკარნოს ხელშეკრულებებთან** ერთდროულად და მათთან შეფარდებით რაც იცოდნენ გერმანიამ და ინგლისმა. გერმანიის არც ერთ მთავრობას, მათ შორის ჰიტლერის მთავრობასაც, ათი წლის განმავლობაში არ განუცხადებია, რომ, მაგალითად, საფრანგეთ-პოლონეთის ხელშეკრულება ეწინააღმდეგება ლოკარნოს ხელშეკრულებას და რომ იგი [illegible] ინგლისს დაეხმაროს გერმანიას იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთი შეასრულებს ხელშეკრულების თანახმად თავის ვალდებულებებს პოლონეთის მიმართ. მაშ რატომ მოხდა, რომ, როცა **სწორედ ასეთივე** ვალდებულებანი იკისრა საფრანგეთმა საბჭოთა კავშირის მიმართ (და საბჭოთა კავშირმა საფრანგეთის მიმართ), ჰიტლერელებმა ასტეხეს ასეთი ღრიანცელი? ეს აიხსნება, როგორც ზემოთ აღნიშნული იყო, იმით, რომ ფაშისტური გერმანია **დაინტერესებულია საბჭოთა კავშირის საერთაშორისო იზოლიაციით და მას სურს ინგლისის დახმარებით უზრუნველყოს გერმანიის ზურგის უშიშროება იმ შემთხვევაში, როცა გერმანია თავს დაესხმის საბჭოთა კავშირს**.

უნდა ითქვას, რომ ჰიტლერელთა ისტერიკა რამდენადმე დაგვიანებულია. გერმანიის მიერ საჰაერო ფლოტის შექმნას, რომელიც ინგლისის ფლოტს უდრის, და წყალქვეშა ფლოტის საფუძვლის ჩაყრას არ შეიძლებოდა არ დაეშინებია ინგლისის მთავრობაც კი და —საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის პაქტის ხელმოწერის მეორე დღეს ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა საიმონმა თემთა პალატაში შემდეგი განაცხადა:

„თუ გერმანია თავს დაესხმის საბჭოთა კავშირს და თუ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთ დახმარების ხელშეკრულების თანახმად საფრანგეთი დაეხმარება საბჭოთა კავშირს და თავს დაესხმის გერმანიას, ამ შემთხვევაში ლოკარნოს ხელშეკრულება ინგლისს არ აკისრებს არავითარ ვალდებულებას დახმარება გაუწიოს გერმანიას... იმ ცნობების თანახმად, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება, საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის ხელშეკრულების ყველა პუნქტი ეთანხმება ლოკარნოს ხელშეკრულებას“.

ეს განმარტება, რომელსაც იძლევა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი, ოფიციალური ხასიათისაა და მოასწავებს **საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის თანამშრომლობის დიდ წარმატებას მშვიდობიანობის უზრუნველყოფისათვის ბრძოლაში**. ლავალის მოსკოვში ჩამოსვლა დაასახავს შემდგომ გზებს ამ ასპარეზზე.

სულეიმანი

ვაგონებს სისტემატურად აცდენენ

(„კომუნისტის“ საქ. კორესპონდენტისაგან).

ტყიბულის მაღაროების ქვანახშირის სატვირთავებთან ჩამდგარი ვაგონები ყოველდღე რამდენიმე საათს ცდება.

მაღაროების სამმართველოს მიზეზით იანვარში 775 ვაგონი გაცდა 2820 საათს, თებერვალში — 564 ვაგონი — 3350 საათს, მარტში—515 ვაგონი — 375 საათს.

ვაგონების გაცდენით გამოწვეულ ზარალს თუ ვიანგარიშებთ, იგი 12.687 მანეთს აღწევს, რაც მაღაროების სამმართველომ უნდა გადაუხადოს რკინისგზას.

ასეთი მდგომარეობა აიხსნება მაღაროების ცალკე უბნების ხელმძღვანელთა ამ დარგში დაუდევარი და უპასუხისმგებლო მუშაობით. ისინი ნაკლებად ზრუნავენ ვაგონების დატვირთვა - გადმოტვირთვის დაჩქარებაზე.

ვაგონების დატვირთვა - გადმოტვირთვის ხელმძღვანელი ვ. კაკაურიძე, თავს ვერ ართმევს დაკისრებულ საქმეს. ვაგონების გაცდენას კაკაურიძე მხოლოდ ნახშირის უქონლობით ხსნის, რაც სწორი არ არის. 31 მარტსა და 1 აპრილს დაუტვირთაობის მიზეზით გაცდა 68 ვაგონი მაშინ, როდესაც საწყობში 2300 ტონა ქვანახშირი ეწყო.

ცხადია, ვაგონების გაცდენის ნამდვილი მიზეზი დატვირთვის ორგანიზაციის მოუწესრიგებლობაა.

ვაგონების გაცდენას მტვირთავ მუშების საგრძნობი სიმცირეც იწვევს. ლენინის სახ. უბანს 36 მტვირთავ მუშის ნაცვლად 22 მუშა ჰყავს. ამასთან შრომის სისტემაც მოუწესრიგებელია. არ წარმოებს იმის აღრიცხვა, თუ რომელმა მუშამ რამდენი ქვანახშირი დატვირთა, რის შედეგადაც ვიღებთ სანარდო სისტემის დარღვევას, ხელფასის გათანაბრებას და შრომის დისციპლინის შესუსტებას.

მტვირთავ მუშებს ხელფასი უძლევათ არა იმის მიხედვით, თუ რამდენი ტონა მადანი დატვირთეს, არამედ იმის მიხედვით, თუ რამდენი ვაგონი დატვირთეს, ამიტომ ვაგონების უმრავლესობა სრული ტევადობით არ იტვირთება.

5 აპრილს ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხანას №551831 ვაგონით 16,5 ტონა ნახშირის ნაცვლად გაუგზავნეს 14 ტონა, იმრას კირის ქარხანას № 94341 ვაგონით 16,5 ტონის ნაცვლად 12,8 ტონა და ა. შ.

ასეთი ფაქტები ხშირია, რაც ვაგონების გაცდენასთან ერთად იწვევს მთელ რიგ ფაბრიკა-ქარხნების გეგმის შესრულების შეფერხებას.

მეორე მხრივ თვით რკინისგზის მიზეზითაც ცდება ვაგონები. სად. ტყიბული (უფროსი ამხ. გერ. მელია) არასაკმაო ყურადღებით ეკიდება ნახშირის გაზიდვას. დატვირთული ვაგონები, ორთქლმავლის მოლოდინში, მთელი საათობით დგას. ამის გამო პირველ კვარტალში 1520 ვაგონი 4186 საათს გაცდა.

მაღაროების რკინისგზის ხაზის შეუკეთებლობით ხშირია ორთქლმავალის გადავარდნის შემთხვევები, რაც აგრეთვე იწვევს ვაგონების გაცდენას და მარცხებს.

რკინისგზა არ იცავს ქვანახშირის ტრესტისათვის ვაგონების მიწოდების ნორმებს. მან ყოველდღიურად ტრესტს უნდა მიაწოდოს საშუალოდ 54 ვაგონი, სინამდვილეში კი აწვდის ზოგჯერ ნაკლებს და ზოგჯერაც ორი დღისას ერთად. ტრესტი, ცხადია, ვერ ახერხებს ამდენ ვაგონების ერთად ათვისებას, რისთვისაც მას აჯარიმებენ ხოლმე.

საქ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტმა მარტის დადგენილებაში განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ვაგონების გაცდენის წინააღმდეგ ბრძოლას და ამაზე შეაჩერა ტყიბულისა და ჭიათურის სამაღნოების სამმართველოების ყურადღება. ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების სამმართველოს ხაზით ეს დირექტივა ჯერ კიდევ არ არის განხორციელებული, ვაგონების გაცდენა იქ ისევ გრძელდება, რაც კოვლად დაუშვებელია.

ვაგონების გაცდენისათვის პასუხისმგებელია ქვანახშირის მაღაროების ყველა მუშაკი. მიღებული უნდა იქნას გადამჭრელი ზომები ამ ნაკლის გამოსასწორებლად.

როგორც რკინისგზამ, ისე მაღაროების ტრესტმა, საქ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის დადგენილების საფუძველზე გადაჭრით უნდა აღმოფხვრან ვაგონების გაცდენა.

შ. კაკულია.

შევასრულეთ საგაზაფხულო თესვის გეგმა

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და პირადათ ამხ. ლ. ბერიას კონკრეტულ - ოპერატიული ხელმძღვანელობით, კოლმეურნე და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა დარაზმვის საფუძველზე, ტყიბულის რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი მიღწევები მოიპოვეს.

ახალი სტალინური წესდების დამუშავებამ კოლმეურნეობებში გამოიწვია შრომითი ენტუზიაზმის ზრდა და ერთპიროვნული მეურნეთა ლტოლვა კოლმეურნეობებისაკენ.

საგაზაფხულო თესვის გეგმა 5 მაისის ნაცვლად დამთავრდა 4 მაისს, გასულ წელთან შედარებით 17 დღით ადრე.

სიმინდი დათესილია 8084 ჰექტარზე —გეგმის 101 პროც.. ღომი—452,4 ჰ. გეგმის 108 პროც. ლობიო წმინდაზე გადაყვანით 497,7—გეგმის 100 პროც., სოია 447—გეგმის 100 პროც., კართოფილი 64—გეგმის 100 პროც., ბოსტნეული 66 — გეგმის 100 პროც., მიწის ვაშლი 4 — გეგმის 100 პროც., მთლიანად რაიონში ყველა კულტურა დათესილია 8,670 ჰექტ. რაც შეადგენს გეგმის 101,3 პროც. თესვა კვლავ გრძელდება. ჩაის სამუშაოების გეგმა შესრულებულია 100 პროც. მაღალი ხარისხის მაჩვენებლების დაცვით

ხეხილის ბაღი გაშენებულია 100 ჰექტ., გეგმის 133 პროც. ბაღის რემონტი ჩატარებულია 31,2 ჰექტ., გეგმის 100 პროც., ხეხილის სანერგეები გაშენებულია 3,5 ჰექტ. გეგმის 119 პროც., დაფნის კულტურა — 1,15 ჰექტ., გეგმის 100 პროც., ვენახი 27,9 ჰექტ., გეგმის 100 პრ., ლეღვი — 4 ჰექტ., გეგმის 200 პროც., წელს მთელი სასოფლო სამეურნეო სამუშაოები ჩატარებულია აგრო-წესების ზუსტად დაცვით, რაც საწინდარია მოსავლიანობის სიუხვისა და მაღალი ხარისხის.

აბრეშუმის კონტრაქტაციის გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით.

საკოლმეურნეო დემოკრატიის სწორად გატარებით და პარტიული და უპარტიო მშრომელთა ფართო მასების დარაზმვით ყველა დანარჩენ სასოფლო სამეურნეო სამუშაოებს შევასრულებთ გადაჭარბებით, მაღალი ხარისხიანობის ზუსტად დაცვით.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 4 აპრილის დადგენილების სწორად განხორციელების საფუძველზე ამიერ-კავკასიის ფაბრიკა - ქარხნებს მივცემთ 350,000 ტონა ქვანახშირს.

საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივანი **ჯინჭარაძე.**

ტყიბულის რაიაღმასკომის თავმჯდომარე **ს. მერკვილაძე.**

პარტიულ თემაზე

როგორ ვმუშაობ ახლა

უკვე წელიწადია რაც რაიკომის პ-მგ. ინსტრუქტორად ვმუშაობ. სამი სასოფლო საბჭო, ორი საბჭოთა მეურნეობა და რვა პირველადი პარტორგანიზაცია (სამი პარტკომი და 5 პარტორგანიზაცია), რომლებშიაც ირიცხება 114 პარტწევრ-კანდიდატი, —აი ჩემი მუშაობის ობიექტები.

მთავარ მიზნად დავისახე პარტმასობრივი და პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის გაშლა ძირეულ ორგანიზაციებში, მაგრამ ხანდახან უშუალო მუშაობა მიხდებოდა სამეურნეო ხასიათის საკითხებზეც (დამზადება, თესვა და სხვ.). როდესაც წავიკითხე საკ.კ.პ.(ბ) ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის პლენუმის 29 მარტის დადგენილება და „პრავდის“ წერილები პარტიულ - ორგანიზაციულ და აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებზე, დავრწმუნდი, რომ ჩემი მუშაობა ვერაა დამაკმაყოფილებელი.

უკანასკნელ ხანს შევცვალე მუშაობის სტილი. ახლა მთავარ დროს—შინაპარტიულ საკითხების ხელმძღვანელობას ვანდომებ. ვმუშაობ პარტიულ კრებების მომზადებაზე, პარტგანათლების საკითხებზე უდიდეს ყურადღებას ვაქცევ კომუნისტების აღზრდას და მათი ავანგარდული როლის ამაღლებას, თანამგრძნობებსა და კომკავშირზე პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებას, უპარტიო აქტივთან მუშაობას. ვმართავ საუბრებს პოლიტწრის მსმენელებსა და პროპაგანდისტთან. საუბარი ეხება როგორც განვლილ მასალის, ისე მიმდინარე პოლიტიკურ საკითხების გაგებას. ასეთი საუბრები ჩატარებული მაქვს ქვ. ქედში, არხილოსკალოზე, წითელწყაროში და ზ. ქედში, სადაც წინასწარ ვამოწმებდი პროპაგანდისტების მომზადებულობას მეცადინეობის ჩატარებისათვის. პროპაგანდისტი ამხ. კობერიძე (ზ. ქედი) ხშირად აკლდებოდა მეცადინეობას ზოგჯერ კი მოუმზადებელი მოდიოდა და დასამუშავებელი თემისა თვითონაც ნაკლებად გაეგებოდა რამე; მე მას პირადი გაფრთხილება მივეცი, მაგრამ ამან არ გასჭრა, საკითხი დავსვი რაიკომის ბიუროში. ამან გავლენა იქონია და მდგომარეობა გამოსწორდა.

გავაძლიერე ხელმძღვანელობითი დახმარება ძირეულ პარტორგანიზაციაში პარტდღის წინასწარ მომზადებისა და ორგანიზებულად ჩატარებისათვის. ასე მაგ. ამას წინათ მივედი წითელწყაროს საკოლმეურნეო პარტორგანიზაციაში. პარტორგანიზატორს დავეხმარე დღის წესრიგის შედგენაში, დღის წესრიგი გავამრავლეთ რამდენიმე ეგზემპლარად და დავუგზავნეთ ყველა კომუნისტს. აღნიშნულ საკითხებისათვის შევარჩიეთ მომხსენებლები, რომლებთანაც ჩავატარეთ მოსამზადებელი მუშაობა, საინსტრუქციო საუბრები და მივეცით მასალები იმ საკითხებზე, რაზედაც მოხსენება უნდა გაეკეთებინათ. შედეგი კარგი მივიღეთ. თუ წინათ პარტკრებას ესწრებოდა მხოლოდ ექვსი პარტიული და ისინიც ჩუმად ისხდნენ, ახლა დაესწრო ყველა ათი კომუნისტი. პარტიის ყოველი წევრი ცხოველ მონაწილეობას იღებდა საკითხების გარჩევა-გადაწყვეტაში. მათი გამოცდილება ჩემი ზონის ყველა პარტორგანიზაციაში გადავიტანე.

ჩემი ზონა რაიონის ცენტრს დაშორებულია 60-70 კილომეტრით. ამიტომ რაიონიდან სოფლებში წასვლისას, — ექვს დღეს არ მიხდება დაბრუნება; ეს ჩემს სისტემატიურ მომზადებაზე ცუდ გავლენას ახდენს. ვმეცადინეობ რაიპარტაქტივის სემინარში, თვეში სამჯერ (ვსწავლობ პარტისტორიას), მაგრამ დავრწმუნდი, რომ სამი დღის მეცადინეობა ისეთი დიდი საკითხისათვის, როგორიც არის პარტისტორია, არ კმარა. ამიტომ თან დავატარებ სახელმძღვანელო ლიტერატურას და ადგილებზე მუშაობის დამთავრების შემდეგ თავისუფალ საათებში ვმეცადინეობ. ძალიან მაინტერესებდა გეოგრაფიის შესწავლა, შევიძინე საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს რუკა, ადგილებზე დასვენების დროს ამ საგანშიც ვმეცადინეობ და ვასწავლი სხვებსაც.

საქ.კ.პ.(ბ) სიღნაღის რაიკომის ინსტრუქტორი:

კობა ჩინჩალაძე.

პარტიულ სწავლებას ვერ აფასებენ

(ზესტაფონი. „კომუნისტის“ საქ. კორესპონდენტისაგან).

ზესტაფონის რაიონის პროპაგანდისტთა უმრავლესობას კარგად აქვთ შეგნებული მათ წინაშე დასმული ამოცანების მნიშვნელობა. პირველი სვირის ტერიტორიალური და საკოლმეურნეო პარტორგანიზაციებთან არსებული დაწყებითი პოლიტსკოლის პროპაგანდისტი ამხ. არ. გეწაძე ყოველთვის მომზადებული მოდის მეცადინეობაზე. ის ყოველთვის წინასწარ ამუშავებს კონსპექტს იმ თემის ირგვლივ, რომელიც უნდა დაამუშაოს. ყოველ თემას აკავშირებს ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის საბრძოლო ამოცანებთან. ამხ. გეწაძე ცოცხლად და საინტერესოდ გადასცემს მასალებს. სისტემატურად ამოწმებს შეთვისების ხარისხს. სწორედ ამით უნდა აიხსნას მსმენელების მონდომება და დაინტერესება, რომელსაც ამ სკოლაში ვხედავთ. არც ერთხელ არ ყოფილა შემთხვევა, მსმენელთა და პროპაგანდისტთა გამოუცხადებლობით, მეცადინეობა ჩაშლილიყო.

ასეთი მუშაობით უნდა აიხსნას, რომ წრის მსმენელთა უმრავლესობამ პარტრაიკომის კომისიას, „ფრიადზე“ ჩააბარა გამოცდა. მაგალითად: ამხ. გამრეკელაშვილმა, ი. ჭულუხიძემ, ზ. გეწაძემ, კ. ჭულუხიძემ, სახვაძემ და სხვ.

სანიმუშოდ მარტო პირველი სვირის პოლიტსკოლა როდი მუშაობს. არიან სხვებიც. ასეთებია: ფერომარგანეცის ქარხნის სადნობი საამქროს პირველი და მეორე ცვლის საკანდიდატო პოლიტსკოლები (პროპაგანდისტი ამხ. დოლიძე), ქალაქის კოოპერაციის პირველად პარტორგანიზაციასთან არსებული პარტისტორიის შემსწავლელი წრე (პროპაგანდისტი ტ. დოლიძე), შროშის საკოლმეურნეო და ტერიტორიალურ პარტორგანიზაციებთან არსებული დაწყებითი პოლიტსკოლა, (პროპაგანდისტი ამხ. გიგილესიანი), ქვედა საქარის პირველად პარტორგანიზაციასთან არსებული დაწყებითი პოლიტსკოლა (პროპაგანდისტი ამხ. კიკნაძე).

აღნიშნულ პოლიტსკოლების წარმატებები მოპოვებულია ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მიერ წრეებზე მტკიცე ხელმძღვანელობით, მაგრამ რაიონში არის ზოგიერთი პირველადი ორგანიზაცია, სადაც პარტიული სწავლების საქმე ჩამორჩენილია.

ასეთი მდგომარეობაა: ზესტაფონის რაიონის სახალხო სასამართლოსთან არსებულ საკანდიდატო პოლიტსკოლაში, უნდა გვეფიქრა, რომ ეს პოლიტსკოლა სანიმუშო იქნებოდა, ვინაიდან აქ შედარებით მომზადებული ამხანაგები არიან. მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. პროპაგანდისტი და მსმენელები ხშირად არ ესწრებიან მეცადინეობას, რის გამო არა ერთხელ ჩაშლილა იგი. სკოლას არ გააჩნია არც განვლილი მასალების და არც მსმენელთა გამოცხადების დავთარი. პარტორგანიზატორმა კარგად იცის ყველაფერი ეს, მაგრამ კონკრეტულ ზომებს არ ღებულობს. ამის შედეგია, რომ აღნიშნული ორგანიზაციის წევრთა თეორიული დონე დაბალია.

უარესი მდგომარეობაა სოფელ ალავერდის „წითელი ოქტომბრის“ კოლმეურნეობასთან არსებულ საკანდიდატო პოლიტსკოლაში. აქ მეცადინეობა 20-ჯერ ჩაიშალა. პარტორგანიზატორი ამხ. ჩიტაძე გულცივად ეკიდება პოლიტსწავლების საქმეს. სოფ. ცხენთაროს „7 ნოემბრის“ კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის საკანდიდატო პოლიტსკოლას აპრილში მეცადინეობა სულ არ ჰქონია. პოლიტსწავლება რამდენჯერმე ჩაიშალა შორაპნის რკინისგზის (ჭიათურის ხაზი) ვაგონების შემკეთებელ საამქროს საკანდიდატო პოლიტსკოლაში (პარტორგანიზატორი ამხ. უზნაძე), სამტრესტის სამმართველოს საკანდიდატო პოლიტსკოლაში (პროპაგანდისტი — არევაძე), ზედასაქარის საკანდიდატო პოლიტსკოლაში (პარტორგანიზატორი ამხ. ფხალაძე), და შორაპნის ტერიტორიულ ორგანიზაციის საკანდიდატო პოლიტსკოლაში (პარტორგანიზატორი ამხ. ხვედელიძე).

პარტგანათლების წლის მსმენელთა გამოშვებამდე სულ მცირე დრო დარჩა. ეს ნაკლოვანებანი დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს.

ტერ. ნაროუშვილი.

საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტში

(საქ. კორესპონდენტისაგან)

შინაპარტიული მუშაობის მაღალ საფეხურზე ასაყვანად და ლენინგრადის პარტორგანიზაციის გამოცდილების დასანერგავად, პარტიის საქალაქო კომიტეტმა მუშაობა გაშალა ქალაქისა და სოფლის პარტორგანიზაციებში.

ცალკე ფაბრიკა - ქარხნებში (საკონსერვო, „მკერავი“, ძაფსაღები ქარხანა) მოხდა პირველადი პარტორგანიზაციების მუშაობის შემოწმება. შესწავლილი იქნა, თუ რამდენად შესძლეს პარტორგანიზაციებმა ორგანიზაციული და პარტმასობრივი მუშაობის შეფარდება ახალ ამოცანებთან, როგორიცაა მათი ზრუნვა ცოცხალ ადამიანზე, კადრებზე, მათ ბოლშევიკურ გამოზრდაზე.

5 და 7 მაისს, პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივნის ამხ. ს. ჯაფარიძის კაბინეტში გაიმართა პარტკომის მდივნების, პირველადი პარტორგანიზაციათა ორგანიზატორების და გამომკვლევი ბრიგადირების თათბირი. თათბირი წარმოადგენდა ურთიერთ გამოცდილებათა გაზიარების და საკუთარი ნაკლოვანებათა მხილების საუკეთესო საშუალებას.

20 მაისისათვის საქალაქო კომიტეტი იწვევს პლენუმს, რომელიც სპეციალურად განიხილავს შინაპარტიული მუშაობის საკითხებს და მომავალ ამოცანებს.

„მესამე გადამწყვეტი“ წლის სესხის ტირაჟი

ლენინგრადი, 10 მაისი. დღეს, ორანიენბაუმში გაიხსნა „მესამე გადამწყვეტი წლის“ სესხის მე-40 ტირაჟი.

მსხვილი მოგებანი (500 მან.) ხვდა შემდეგ ობლიგაციებს: სერია 3940, ობლიგაცია 83; სერია 4582, ობლიგაცია 95; სერია 182, ობლიგაცია 6; სერია 900, ობლიგაცია 37; სერია 3937, ობლიგაცია 77; სერია 9070, ობლიგაცია 5; სერია 2578, ობლიგაცია 97; სერია 8279, ობლიგაცია 73 (ატ).

ტფილისის რაიონის ამხ. მახარაძის სახ. კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის დამკვრელი ამხ. ქარახანოვი ხბოსთან. აღნიშნულ ფერმაში წელს ნამატი შენარჩუნებული იქნა მთლიანად.

ცხვარი ნავთლუღის დასასვენებელ პუნქტთან

სიღნაღის რაიონის საბჭოთა მეურნეობების საკოლმეურნეო - სასაქონლო ფერმების და კომბინატის მეურნეობის ცხვარი მაისის პირველ რიცხვებიდან დაიძრა საზაფხულო იაილაღებისაკენ. გასულ წელთან შედარებით წელს ცხვრის გარეკვა ორგანიზებულად ტარდება. მოეწყო 2 დასასვენებელი პუნქტი: ერთი სიღნაღის მახლობლად (დაცულ ტყეში), ხოლო მეორე (მთავარი)—ნავთლუღში.

8 და 9 მაისს ნავთლუღის დასასვენებელ პუნქტის გარშემო მდებარე საძოვრები დაიფარა ელდარის საბჭოთა მეურნეობის, აგრეთვე საკოლმეურნეო ფერმების და ერთპიროვნული მშრომელ გლეხების ცხვარით.

ელდარის საბჭოთა მეურნეობის 79.000 სულმა ცხვარმა ნავთლუღის პუნქტამდე საუკეთესოდ იმგზავრა. არ ქონია ადგილი ცხვრის „უგზოდ“ დაკარგვის არცერთ შემთხვევას.

აქვე არის სოფ. არბოშიკის მეცხვარეობის ფერმის 11.700 ცხვარი, ბოდბისხევის ამხ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის — 2600, ზემო - მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის — 7,000, ქვ. ბოდბის „პირველი მაისის“ — 3,700 სული ცხვარი და ა. შ.

ჩამოთვლილ ფერმების შემოწმებიდან გამოირკვა, რომ ცხვრის დაკარგვას და სიკვდილიანობას არ ქონია ადგილი.

მაგრამ არიან ჩამორჩენილებიც. არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც უსულგულოდ ეკიდებიან ცხვრის მოვლა - პატრონობას. არ ზრუნავენ იმისათვის, რომ მთლიანად შეინარჩუნონ მიღებული ნამატი და ცხვრის არსებული რაოდენობა.

ამხ. ფ. მახარაძის სახ. კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის (ქვ. მაჩხაანი) მუშაკებმა და კოლმეურნეობის ხელმძღვანელებმა ცხვარს ზამთარში სათანადო ყურადღება არ მიაქციეს, რის გამო ცხვარი საგრძნობლად დასუსტდა. ამან მგზავრობის დროს გამოიწვია ცხვრის ხშირი სიკვდილიანობა. ასე, მაგალითად, ნიკო მუშკუდიანის ბრიგადაში მგზავრობის დროს მოკვდა 9 ცხვარი, გიორგი ჯანყარაშვილის ბრიგადაში — 4 სული, ხოლო დანარჩენ ორ ბრიგადაში—10 სული.

სიღნაღის რაიონულ გაზეთ „კოლმეურნეს“ გამსვლელი რედაქცია, რომელიც ამჟამად ნავთლუღის პუნქტთან იმყოფება, ფართოდ ამუშავებს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების და საკოლმეურნეო ფერმების შესახებ გამოცხადებული კონკურსის პირობებს. 10 მაისამდე კონკურსში ჩაბმული იყო 15-მდე მეცხვარეობის ფერმა.

გამსვლელმა რედაქციამ მწყემსებს დაურიგა კონკურსის პირობები და ბროშურები მეცხოველეობის საკითხებზე.

ნავთლუღის პუნქტთან მოწყობილია საექიმო პუნქტი და მოძრავი სავაჭრო წერტი. ცუდად არის დაყენებული მწყემსების კულტმომსახურება.

მიშა თევზაძე.

ხვანჭკარაში არ ჩქარობენ

(ენუქიძე, ჩვენი საქ. კორესპონდენტისაგან)

ენუქიძის რაიონში ვენახის საგაზაფხულო სამუშაოები თითქმის ყველგან დამთავრდა. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ხვანჭკარის საბჭოთა მეურნეობა, რომლის ხელმძღვანელები მუშაობის ნაცვლად გატაცებული არიან უფრო ქეიფით. ვენახის სამუშაოები მათ მხედველობიდან „გამორჩათ“.

აღმაშფოთებელია, რომ ხსენებულ საბჭოთა მეურნეობას ვენახის ახვევა არ დაუწყია, მაშინ, როდესაც ეს სამუშაო რაიონში თვეზე მეტია დამთავრებულია.

საბჭოთა მეურნეობას მხოლოდ ორი მუდმივი მუშა ჰყავს. ისე კი მეურნეობა დამოკიდებულია შემთხვევით სეზონურ მუშებზე, რომელთა წესიერ შეკრებაზე ნაკლებად ზრუნავენ. ხვანჭკარაში დღემდე უცდიდენ, თუ როდის დაამთავრებდენ კოლმეურნეები თავიანთ ვენახის სამუშაოებს, რომ მერე დაექირავებიათ. კოლმეურნეებმა ვენახში მუშაობა დაამთავრეს და საგაზაფხულო თესვაში ჩაებენ. ხვანჭკარელებმა მოთმინება მაინც არ დაკარგეს და ახლა იმას დაუწყეს ცდა, თუ როდის დაამთავრებდენ საგაზაფხულო თესვას, ამ ცდაში კი მაისის ნახევარი დადგა. ვენახს ბალახი მოედო, ვაზმა კვირტები ამოჰყარა. ხვანჭკარელები კი მაინც იცდიან. ვენახი დაუმუშავებელი რჩება.

ს. თვალჭრელიძე.

დოც. ს. ვ. ქარუმიძე

კალიის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებანი

სოფლის მეურნეობის მავნებელთა შორის უხსოვარ დროიდან კალია ერთერთ საშინელ მავნებლად ითვლება. ჩვენში დიდი მნიშვნელობა აქვს მაროკოს და იტალიურ კალიას, რომელსაც სხვანაირად პრუსსაც ეძახიან.

მაროკოს კალიის გავრცელების კერათ ითვლება მდ. მტკვრის მიმდინარეობის ვაკე ადგილები—მუღანის და მილის ველები, საიდანაც მასობრივად გამრავლების დროს კალიას ადვილათ შეუძლია გადმოფრინდეს აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში (სიღნაღის რაიონში, ყარაიას მიდამოებში და სხვ) და შესამჩნევი ზარალიც მიაყენოს ნათესებს. ამ ადგილებში კალიას შეუძლია აგრეთვე შექმნას დროებითი გავრცელების კერებიც.

აღნიშნულ რაიონებში გადმოფრენა შეუძლია აგრეთვე ე. წ. აზიურ, ანუ მფრინავ კალიას, რომლის მუდმივი ბუდობები „იმყოფება მდ. არაქსის და მტკვრის სანაპიროების ატეხილ ლერწმიანებში.

იტალიური კალია ადგილობრივი მავნებელია და მის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში ყოველწლიურად სწარმოებს.

ჩვენს პირობებში იტალიურ კალიაზე არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს და, ბევრ შემთხვევაში, უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს **კუტ** კალია, რომელიც თითქმის ყოველწლიურად მრავალ ტექნიკურ და სხვა კულტურულ მცენარეებს აზიანებს და ამით დიდი ზარალი მოაქვს.

აღნიშნულ მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლა, რომ ეფექტიანი იყოს. საჭიროა მათი ყოფაცხოვრების ცოდნა.

მაროკოს და აზიური კალია ჩვეულებრივად ჯგუფურ ცხოვრებას ეწევიან; ფარებათ მოძრაობენ, ან ფრინენ. იტალიური კალია კი დაფანტულათ ცხოვრობს. მაგრამ მათ შორის მაინც არსებითი განსხვავება არის. იტალიური კალია ხშირად ფარებათ ცხოვრობს.

არის ისეთი შემთხვევებიც, რომ აზიური და მაროკოს კალია დაფანტულათ ცხოვრობენ.

კალია ყოველთვის არ იკვებება, არამედ დიდ დროს ანდომებს მოძრაობას. ამიტომ აღნიშნულ მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლის დროს აუცილებლათ მხედველობაში უნდა იყოს მიღებული მათი კვების განსაზღვრული პერიოდები, ან საერთოთ მათი ყოფაქცევა.

კალიების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებათა სისტემები შეიძლება სამ ჯგუფათ დაიყოს: მექანიკური, აგროტექნიკური და ქიმიური.

მექანიკური ღონისძიებები, საზოგადოდ, დიდ ხარჯებს მოითხოვენ. ეს მეთოდი ჩვენში არ არის მიღებული და იტალიურ კალიის წინააღმდეგ ბრძოლის დროს არც მნიშვნელობა აქვს. რაც შეეხება აგროტექნიკურ მეთოდებს, ამათ დიდი მნიშვნელობა აქვთ და შედიან ჩვეულებრივ ინტენსიურ მეურნეობის აგროტექნიკურ ღონისძიებებში: — მიჯნების, მიტოვებულ და გაუტეხავ ადგილების ათვისება და სხვ.

კალიების მოსასპობათ ყველაზე გავრცელებულია ქიმიური ღონისძიებები. შხამებიდან პირველ რიგში იხმარება დარიშხანოვანი ნატრიუმი (ნატრიუმის არსენიტი), შემდეგ დარიშხანოვანი კალციუმი (კალციუმის არსენიტი), თეთრი დარიშხანი და აგრეთვე პარიზის მწვანეც. ეს უკანასკნელი იხმარება მხოლოთ კულტურულ მცენარეების დამუშავების დროს. სულ უკანასკნელ წლებში დაიწყეს აგრეთვე ფტორის შენაერთების ხმარებაც.

აღნიშნული შხამები იხმარება მისატყუებელ მასალების, შეფრქვევის და შესხურების მეთოდით. ამ მეთოდებს შორის ჩვენში ყველაზე გავრცელებულია მისატყუებელ მასალების მეთოდი. ამ შემთხვევაში მასალათ იხმარება ქატო, ნახერხი, **ბამბის კოპტონი,** ბრინჯის ჩენჩო, ცხენის ნაკელი და სხვ. ხშირად კომბინირებულ მასალებსაც ამზადებენ. მაგ. ნახერხს ურევენ ქატოში; პირველი 60-70 პროც და მეორე 30-40 პროც.

მისატყუებელ მასალების დამზადების დროს მასალას ყრიან ჩანში, კასრში, ან ბრეზენტზე, შეიძლება კარგად დატკეპნილ მიწაზედაც დაიყაროს. წყალში ხსნიან საჭირო რაოდენობა შხამს და ასეთი ხსნარით მასალას დაანოტივებენ. მასალა და ხსნარი ერთმანეთში ისე კარგათ უნდა გადაერიოს, რომ საბოლოოთ მივიღოთ ერთგვაროვანი - გაჟღენთილი ნარევი. გამზადებული მასალა სველი არ უნდა იყოს და ხელის მოჭერით მისგან მიღებული გუნდა ადვილათ უნდა იშლებოდეს.

ყოველ 16 კილო მასალაზე იღებენ 300-400 გრამამდე დარიშხანოვან ნატრიუმს, ან კალციუმს. თუ მოსაშხამ ნივთიერებათ თეთრი დარიშხანია გამოყენებული, — ამ შემთხვევაში ჩვეულებრივად სოდასაც უმატებენ: თეთრი დარიშხანი 200 გრ., სოდა 110 გრ. 250—150 გრ-მდე. კაუფტორის ნატრიუმს ურჩევენ 600-800 გრამამდე.

აღნიშნულ შხამების რაოდენობა დამოკიდებულია მასალის გაფუების თვისებაზე და კალიის ხნოვანებაზედაც: რამდენადაც მასალა წყალის დასხმის შემდეგ მეტათ ფუვდება, შხამსაც მეტს იღებენ.

ამასთან ყველა მასალას წყალი ერთნაირათ არ ანოტივებს: მაგ. საშუალოთ 16 კილო ბამბის კოპტონისათვის საჭიროა 8 ლიტრი წყალი, ნახერხისათვის 14 ლიტრი, ქატოსათვის — 12 ლიტრი და სხვ. ამიტომ შხამის გახსნის დროს წყლის რაოდენობა მასალასთან შეფარდებული უნდა იყოს.

მისატყუებელი მასალა უნდა დაიფანტოს იმ ადგილებში, სადაც კალიაა მოდებული. ჩვენში ჩვეულებრივათ მისატყუებელ მასალების მოფანტვა ხდება ხელით, როგორც პურის თესვის დროს. უკანასკნელ წლებში მოფანტვა დაიწყეს აგრეთვე აეროპლანებით. მაგრამ ამ შემთხვევაში იხმარება ნახევრათ მშრალი მასალა (დანოტივებულია 25 პროც.); ამასთან მისატყუებელი მასალის დახარჯვის ნორმაც შემცირებულია. ჰექტარზე ხელით ფანტავენ 10-12 კილოს, ზოგან 16-30 კილომდე და ხშირად გაცილებით მეტსაც.

ამჟამად მასალების მოსაფანტავით შემუშავებულია მიწაზე მომუშავე მანქანაც, რომელიც მიბმულია სატვირთო ავტომობილზე.

აღნიშნულ მეთოდის გარდა ძლიერ გავრცელებულია აგრეთვე აეროფრქვევა (აეროპლანებიდან შხამის ფრქვევა). ამ შემთხვევაში ჩვეულებრივად ხმარობენ დარიშხანოვან ნატრიუმს, ან კალციუმს. ჰექტარზე საშუალოთ იხმარება ნატრიუმი 2,5 3 და კალციუმი 3-3,5 კილოგრამი.

აღნიშნული შენაერთები მცენარეს ადვილათ სწვამენ, ამიტომ კულტურული მცენარეების დამუშავების დროს საჭიროა მისატყუებელ მასალების ფრთხილათ მოფანტვა,—მცენარეთა რიგებ შორის.

ამჟამად შესხურების მეთოდს კალიების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ისეთი დიდი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც აღნიშნულ მეთოდებს. მაგრამ, ბევრ შემთხვევაში, მისი გამოყენებაც საჭირო ხდება.

წამლობის საუკეთესო დროთ ითვლება დილა 8-10 საათამდე და საღამო 4—6 საათიდან.

დაფანტულათ მცხოვრებ კალიის (იტალიური) წინააღმდეგ მუშაობა ჩვეულებრივად მთელი დღის განმავლობაში შეიძლება, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ზემოთ აღნიშნულ პერიოდებს.

კალიის წინააღმდეგ ბრძოლის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კალიით მოდებულ ყველა ფართობზე ორგანიზებულად და თავის დროზე მუშაობის ჩატარებას.

ამიტომ შემოდგომიდან აწარმოებენ დაზვერვას: არკვევენ კალიების მიერ დადებულ კვერცხების სიმკვრივეს და დაზიანებულ ფართობებს, მუშაობის გასაადვილებლათ ზაფხულის დამლევს თვალყურს ადევნებენ, თუ სად სდებს კალია კვერცხებს.

ხარჯები, რომ მიზანშეწონილათ იყოს გაღებული, ამიტომ როგორც დაფანტულათ, ისე ფარებათ მცხოვრებ კალიების წინააღმდეგ მუშაობა უნდა დაიწყოს ადრე, არაუგვიანეს მეორე ხნოვანების და მოთავდეს მალე, მავნებლის მეოთხე ხნოვანების პერიოდში, სანამ კალია გადაფრენას დაიწყებდეს.

ამასთან კულტურულ ნაკვეთებთან პირველ რიგში უნდა დამუშავდეს ახლომდებარე ადგილები და სამხრეთით დაქანებები.

კულტკალიების წინააღმდეგ ბრძოლა იგივე მეთოდებით ტარდება. როგორც სხვა კალიების წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში უფრო ეფექტიანია შეფრქვევა, შემდეგ შესხურება. უკანასკნელი ადგილი უჭირავს მისატყუებელ მასალებს. ეს უკანასკნელი საშუალება კარგ შედეგებს იძლევა მხოლოთ ახალგაზრდა მატლების წინააღმდეგ; შემდეგ კი, როცა მავნებელი დაიფანტება. აღნიშნულ მეთოდით ბრძოლა მიზანშეწონილი არ არის.

დარიშხანის და ფტორის შენაერთები ძლიერი შხამებია, ამიტომ გაუფრთხილებლობით ადვილათ შეიძლება მოიწამლოს როგორც პირუტყვი, აგრეთვე ადამიანიც.

შხამით მოწამვლა კუჭ-ნაწლავის გზით ხდება; მაგრამ შხამი მტვრის სახით აგრეთვე შეიძლება შეიჭრას სასუნთქ ორგანოებიდან, ან უშუალოდ კანზე შეხებით გამოიწვიოს დაავადება. ასეთ დაავადებას, უმთავრესად, ადგილი აქვს ოფლიანზე (შეფრქვევის მეთოდის დროს), შხამი მოქმედობს ლორწოვან გარსზედაც.

ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პირად ჰიგიენას. მომუშავეებს, რომლებიც შხამის-კასრებს ხსნიან და ნაზავებს ამზადებენ, უნდა ეცვათ სპეცტანისამოსი და სახეზე გაკეთებული ქონდეთ რესპირატორები და სათვალეები (ორივეს შოვნა შეიძლება აფთიაქის საწყობებში). შეფრქვევაზე მომუშავეთ უნდა ქონდეთ რესპირატორები. ოპერაციების დროს მომუშავე უნდა ერიდოს ჭამას, ან პაპიროსის ზადებენ, უნდა ეცვათ სპეცტანისამომოწევას; შხამებთან ახლოს არ უნდა

მოშხამულ ადგილებზე განსაზღვრულ დროის განმავლობაში დაუშვებელია საქონლის ძოვება. ამის შესახებ ცნობა უნდა ჰქონდეთ ყველა ადგილობრივ მცხოვრებთ, კოლექტიურსა და საბჭოთა მეურნეობებს.

ავტო-სარემონტო ქარხანა ამუშავების წინ

ტფილისის ავტოსარემონტო ქარხნის მისაღებად და ასამუშავებლად მოსკოვიდან ჩამოვიდა ცუდოტრანსის — საუწყებო კომისია ამხ. პანოვის მეთაურობით.

— კომისიის მიერ ქარხნის წინასწარმა დათვალიერებამ, განაცხადა ამხ. პანოვმა, — ცხადყო მისი სრული მზადყოფნა ასამუშავებლად. ქარხანას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამიერ - კავკასიისათვის, ვინაიდან ის მოწოდებულია მომსახურება გაუწიოს ა-კ. მთელ ავტოტრანსპორტს. ქარხანა გათვალისწინებულია 1.750 მანქანის რემონტისათვის წელიწადში, მაგრამ არსებობს სრული შესაძლებლობა მისი სიმძლავრის გადიდებისა. ქარხნის მოწყობილობის დიდი ნაწილი დამზადებულია საბჭოთა ქარხნებში. მშენებლობის ხარისხი სავსებით დამაკმაყოფილებელია და მთლიანად შეეფერება საპროექტო მონაცემებს ქარხანა ამუშავდება უახლოეს დღეებში.

გაზაფხული

მზე სიცოცხლის სხივებს აფრქვევს, ძარღვებში სჩქეფს შრომის ძალა,
ტყე ხავერდით შეიმოსა, მდელო მწვანეთ გაიშალა,
ხილ-ბაღნარმა ყვავილები ნარ-ნარ ფერად გადაშალა
და ფუტკარმა შრომის ტრფობით, სიხარულით ფრთა გაშალა...

ნორჩ ბუჩქებში თვალწარმტაცათ, მოსჩანს კოხტა, ნაზი ია,
მას ბუნების სამეჯლისოდ პირველობა აუღია;
კარ-მიდამოს ციტრუსების, ფერი ახლავს მუდმივ ლია,
და თან იქვე მომხიბვლელათ, ვარდსაც მკერდი გაუღია.

მდელოს ჰშვენის მობიბინე შემოდგომის მწვანე პური,
დინჯად არხევს მას ნიავი და თან სიო საამური,
აქ ფრინველთა ჭივილ-ხივილს და გალობას უსმენს ყური,
იქ ჩვენს ფერმის ცხვრების ფარას, ატკბობს მწყემსის სალამური

სურნელოვან თაიგულს შლის მინდვრათ თეთრი აკაცია,
გვიმრის ნაცვლათ ველს ამშვენებს, ჩაის მწვანე პლანტაცია,
დღეს აქ შრომის ზეიმია, შრომა ისე წარმტაცია...
ვინც შრომაში სახელს იხვეჭს, ის გმირი და მამაცია.

კოლექტივი ყველა მშრომელს მომავალის რწმენით აწრთობს,
დღეს ის მტკიცეთ ეუფლება ტექნიკას, წყალს, ჰაერს, ფართობს
გუშინდელი გლეხი დღეს მხნედ უძღვება და მართავს ტრაქტორს
გული ჰხარობს, რომ შეჰყურებ კოლხეთის მშრომ ექსკავატორს.

დღე ზრდის ტემპებს, აძლიერებს, ჩუხჩუხით სჩქეფს ნაკადული,
კოლექტივებს გამარჯვების მტკიცე რწმენით უცემთ გული,
შრომის ჰიმნით შევამკეთ ჩვენ, აქ წესდება სტალინური,
და ამ ჰიმნში იფურჩქნება დღეს ცხოვრება შეძლებული...

ა. თოდრია

სოფ. ნინოშვილი. 4 მაისი

ამიერ-კავკასიაში

აზერბაიჯანი

ახალი გემები კასპიის ზღვაზე

ბაქო, 10 მაისი. სორმოვოს გემთმშენებელი ქარხანა ამთავრებს ნავთის საზიდი მძლავრი ტანკერების მშენებლობას კასპიის ნაოსნობისათვის. გემების ტექნიკურად მიღებისათვის სორმოვოში გაემგზავრა „კასპარის" სპეციალური კომისია. 12 მაისს გემთსაშენიდან გამოვა ტანკერი „კაგანოვიჩი", მას მოჰყვება ტანკერი „ბერია". თვითეული ახალი გემის ტვირთმზიდაობა უდრის 8.500 ტონას. ივნისში ეს ორი ახალი გემი გადაცემული იქნება საექსპლოატაციოდ. გემები უმთავრესად მომსახურეობას გაუწევენ ნავთის გადაზიდვას ასტრახანის რეიდზე.

კამფეტების ახალი ფაბრიკა

ბაქო, 11 მაისი. კიშლიში დაიწყო კამფეტების ახალი დიდი ფაბრიკის მშენებლობა. ფაბრიკა წელიწადში დაამზადებს 10.000 ტონა უმაღლეს ხარისხის კამფეტს. ფაბრიკის მშენებლობა მთლიანად უნდა დამთავრდეს მიმდინარე წლის ბოლოს. მშენებლობის საერთო ღირებულება 1.200.000 მანეთს უდრის.

საკოლმეურნეო ჰიდროელსადგური

ყაზახი, 11 მაისი. ყაზახის რაიონში გაჩაღებულია მუშაობა აზერბეიჯანში პირველი სანიმუშო საკოლმეურნეო ჰიდროელსადგურის ასაგებად. ჰიდროელსადგურს საკუთარი სახსრებით აგებს ინტერნაციონალური კოლმეურნეობა „ჩაილინის კომუნა", რომელიც ერთერთ საუკეთესო კოლმეურნეობად ითვლება რაიონში. სადგურის ტექნიკური პროექტი დამუშავდა „სოიუზსელექტროს" აზერბეიჯანის ბიურომ. მშენებლობას აწარმოებენ თვით კოლმეურნეები „სოიუზსელექტროს" გამოცდილი სპეციალისტებისა და მონტიორების ხელმძღვანელობით.

სომხეთი

გაიხსნა ტუბერკულოზის ინსტიტუტი

ერევანი, 10 მაისი. ერევანში გაიხსნა ტუბერკულოზის ინსტიტუტი, რომელიც მოთავსებულია ახლად აგებულ შენობაში, ქალაქ გარეთ, მდინარე ზანგის ნაპირზე. ჯერჯერობით მზად არის შენობის პირველი კორპუსი, სადაც გამართულია ტუბდისპანსერი ბავშვებისა და მოზრდილთათვის, რენტგენის კაბინეტი, ლაბორატორია და სხვ.

მთელი შენობის აგების შემდეგ ინსტიტუტთან გაიხსნება ღამის სანატორიუმი 50 საწოლით და სტაციონარი 60 საწოლით. ტუბერკულოზის ინსტიტუტის დირექტორად დანიშნულია ექიმი გრ. ხაგიანი.

მწვანე ხეივნები სიღნაღს

სიღნაღის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ენერგიულად მოჰკიდეს ხელი სიღნაღის კეთილმოწყობის საქმეს. ამჟამად წარმოებს სიღნაღის ქუჩებისა და მოედნების გამწვანება. გამწვანების ხელმძღვანელობა დავალებული აქვს მებაღე აგრონომ ამხ. ლ. მირიანაშვილს.

სიღნაღის ბაღებში უკვე დარგულია სხვადასხვა ჯიშის დეკორატიული მცენარეები: ტუია, ელდარის ფიჭვი, კიპაროსი და სხვა. ასევე გაშენებულია მცენარეები მთავარ ქუჩების გასწვრივ ორთავე მხარეზე და მთავარ მოედანზე. აქვე გაშენებულია ორი ახალი პატარა ბაღი ერთში (რაიაღმასკომის წინ) მოწყობილია აუზი შადრევანით (საქ. კორ.).

პლანერებით ფრენის იშვიათი სანახაობა

მშვენიერი ადგილია შერჩეული ტფილისის პლანეროდრომისათვის. დიდი, ფართო გასაქანიანი ბუნებრივი მანეჟი, გარშემო ბუნებრივივე ტერასებით, მახლობლად დაბალი, საშუალო და მაღალი გორაკები, რომელთა არსებობაც საპლანერო სპორტისათვის აუცილებელი პირობაა, — ასეთია ტფილისის პლანეროდრომის მდებარეობა ვაკეზე. იგი მოწყობილია სტუდენტთა ქალაქის მახლობლად და ტრანსპორტის მხრივაც ადვილად მისაწვდომია ქალაქის მშრომელებისათვის.

12 მაისს, დილიდანვე პლანეროდრომისაკენ დაიწყეს დენა მშრომელებმა. ტრამვაებს, ავტობუსებს და ავტოებს განუწყვეტლივ მიჰყავდა იქით თავდაცვა-ავიაქიმის წევრ მშრომელთა ახალ-ახალი ჯგუფები. ჩქარა პლანეროდრომის მახლობელი ტერასები გადაათეთრა საზაფხულოთ ჩაცმულმა ხალხმა.

აქ, ამიერ-კავკასიის თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციები ტფილისის მშრომელებს უმასპინძლდებოდენ იშვიათი სანახაობით. პლანეროდრომზე დანიშნული იყო ა.-კ. აეროკლუბების საავიაციო ზეიმი, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდენ საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის ავიომოდელისტები, პლანერისტები და მსუბუქ-მოტორიანი ავიაცია.

დღესასწაულს დაესწრენ საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები — ამხ. ფ. **მახარაძე, გ. მგალობლიშვილი, გ. ყურულაშვილი, ი. ვარძიელი** და სხვ.

დღესასწაული დაიწყო ნორჩი ავიამოდელისტების ალლუმით. შემდეგ გაიმართა სქემატიური მოდელების ფრენა, ფიუზელაჟიანი მოდელების ფრენა და სარეკორდო მოდელების დემონსტრაცია. პლანეროდრომზე ამოვარდნილი ქარის გამო მოდელების ფრენა შეწყდა და აღარ მოხერხდა სარეკორდო მოდელების შეჯიბრების ჩატარება.

ზეიმის მეორე განყოფილებაში უჩვენეს პლანერებით ფრენა. სულ ამ დღეს, პლანეროდრომზე დაფრინავდა ნ პლანერი. პლანერებით ფრენის საუკეთესო კლასი ამ დღეს გამოამჟღავნეს ერევნის აეროკლუბის პლანერისტებმა — ამხ. **აკალიანმა და ავეტისიანმა.** ტფილისის აეროკლუბის პლანერისტმა ამხ. **ცაგარეიშვილმა** გვიჩვენა ლამაზად ფრენის და ძირს დაშვების საუკეთესო ნიმუში.

პლანეროდრომის თავზე გამუდმებით დაფრინავდა მონგოლფიერი და დროგამოშვებით ახდენდენ მოდელების ფრენის დემონსტრაციას.

ზეიმის დასასრულს, შესდგა მსუბუქმოტორიანი თვითმფრინავებით ფიგურული ფრენა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ბაქოს, ერევნის და ტფილისის ჰაეროკლუბის პილოტმა-ინსტრუქტორებმა — ამხ. მამედოვმა, ბალდასაროვმა და გოგრიჰეიანმა. მათ გვიჩვენეს უმაღლესი პილოტაჟის ყველა მიღწევა.

პლანეროდრომზე მოელოდენ ერევნიდან გადმოფრენილ ჰაერო-მატარებელს (თვითმფრინავ „პ—5"-ზე მიბმულ ორადგილიან პლანერს), რომელსაც მონაწილეობა უნდა მიეღო ზეიმში. ჰაერო-მატარებელი, რომელმაც მოახდინა პირველი გადაფრენა ამიერ-კავკასიაში ყველაზე საძნელო ხაზით მძიმე პირობებში, დროულად ჩამოვიდა ტფილისის ჰაეროპორტზე, მაგრამ იმის გამო, რომ აქ დააგვიანეს მატარებლის გაშვება პლანეროდრომისაკენ, ზეიმის პროგრამის ეს ნაწილი მოიხსნა.

სურათზე: ჰაერომატარებლის კომანდორი, ერევნის ჰაეროკლუბის უფროსი ამხ. **რ. ბაბაიანი,** ტფილისელი მოდელისტი პიონერი შ. ხანიკიძე საკუთარი მოდელით, ამხ. **ფ. მახარაძე** პლანერისტებთან, ტფილისის აეროკლუბის პლანერისტი ამხ. **მიხ. ცაგარეიშვილი.** მაღლა — პლანერი ჰაერში.

საავიაციო გაფრენა

ტყიბული

12 მაისს ტყიბულში პირველად მოფრინდენ საქ. თავდაცვა-ავიაქიმის საავიაციო სკოლის თვითმფრინავები სკოლის უფროსის ამხ. **ნ. ჯიბლაძის** ხელმძღვანელობით. ერთერთ თვითმფრინავს მართავდა პირველი ქართველი მფრინავი ქალი **ნინა ხუბულავა.** დასაფრენი მოედნიდან მოხდება დამკვრელ მემაღაროელთა და კოლმეურნეთა საცდელი გაფრენები ტყიბულზე, რაც რამდენიმე დღეს გაგრძელდება. ამავე დღეებში წარმოებული იქნება კამპანია მემაღაროეთა სახსრებით თვითმფრინავის „ტყიბულის მეღაროელის" ასაგებად.

ვანი

ვანი, 12 მაისი. (საქ. კორ.). 11 მაისს ვანის რაიონში მშრომელთა მიერ მოწყობილ აეროდრომზე მოფრინდა თვითმფრინავები ტფილისის აეროკლუბის უფროსის პილოტ **ჯიბლაძის** მეთაურობით. თვითმფრინავების შესახვედრად აეროდრომზე თავი მოიყარეს კოლმეურნეებმა და მშრომელებმა. სახელდახელოდ გამართულ მიტინგზე კოლმეურნეებმა პირობა დასდვეს, რომ შემდეგშიაც ბოლშევიკურად იმუშავებენ საბჭოთა ავიაციის გასაძლიერებლად და ყოველწლიურად მისცემენ ავიაციას საუკეთესო ახალგაზრდობას მათი მფრინავებად აღზრდისათვის.

ამავე მიტინგზე გადაწყდა ყველა კოლმეურნეობა გახდეს საქ. საავიაციო კლუბის იურიდიულ წევრად.

ქართველი „ჩაპაევი"

„კომუნისტის" 6 მაისის ნომრის მიღებისას ქუთაისში, თქვენმა კორესპონდენტმა ინახულა ქართველი „ჩაპაევის",— ვ. კიკვიძის დედა ან. კიკვიძე და ესაუბრა მას.

მოხუცი ძალიან გაახარა 6 მაისის გაზეთმა. კიკვიძის დედამ ერთხელ კიდევ მადლობა გადაუხადა ხელისუფლებას და პარტიას მზრუნველობისათვის.

მისი შვილის შესახებ განზრახული კინო-სურათის გამო დედამ განაცხადა:

— ძალიან მოხარული ვარ, რომ ჩემი თვალით ცხადლივ დავინახავ ვასიკოს იმ გმირობას, რომელიც მან გამოიჩინა სამოქალაქო ომებში, საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად. თუ საჭირო იქნება, მეც გაუწევ კინომუშაკებს იმ მოგონებას, რომელიც შვილის ახალგაზრდობაზე კიდევ შემრჩენია. თუ შევძელი ამ ზაფხულს მოსკოვში მინდა წასვლა და შვილის საფლავის ნახვა (საქ. კორ.).



ბათომი. ზღვის სანაპირო ბულვარის კოლონადებთან.

ცაგერს ექნება მძლავრი ელსადგური

უსაზღვრო აღტაცებამ მოიცვა ლეჩხუმის მშრომელი მოსახლეობა, როცა ცაგერის პატარა ქუჩები პირველად გაანათა ელნათურებმა. ეს იყო 1930 წლის თებერვალში. მას შემდეგ 5 წელი გავიდა. ცაგერი და მისი მოსახლეობა გაიზარდა. გადიდდა მოთხოვნილება ელექტროენერგიაზეც.

საქ. კ.პ. (ბ) ცაგერის რაიკომმა და რაიაღმასკომმა. გადაწყვიტა 9 ცხენძალიანი ელსადგური, რომელიც ამჟამად აქვს ცაგერს, შეიცვალოს 150 ცხენძალის სადგურით. რაიაღმასკომის კომუნალურმა განყოფილებამ ელსადგურის მოწყობილობათა შესაძენად მოსკოვს მიავლინა სპეციალისტი. სადგურისათვის საჭირო ყოველგვარი მოწყობილობა უკვე მიღებულია. ელსადგურის გასაფართოებლად გადადებულია 61 ათასი მანეთი. **(საქ. კორ.)**

მეგრული ხალხური

სიმღერების კრებული

ზუგდიდის შრომის სკოლის მასწავლებელმა **მ. ვეკუამ** საქართველოს განსახკომს წარუდგინა მის მიერ მრავალი წლის განმავლობაში ჩაწერილი მეგრული ხალხური სიმღერების კრებული. კრებული შესდგება 16 რვეულისაგან, სადაც ჩაწერილია 118 სხვადასხვა სიმღერა და ხალხური მუსიკალური შემოქმედების სხვა იშვიათი ნიმუში.

აღსანიშნავია, რომ სიმღერები ჩაწერილია სხვადასხვა ვარიანტების მიხედვით,— ისეთი თანამიმდევრობით, რომ კრებულში მოცემული სიმღერები იწყება უძველესი სადა, მარტივი კილოთი და მთავრდება თანამედროვე რთული ფორმებით (თვით ხალხის განვითარების მიხედვით). კრებულში სიმღერები დაყოფილია ხასიათისა და წარმოშობის მიხედვით. მაგ.: აქ თქვენ ნახავთ შრომის, რევოლუციურ, საქორწინო, სუფრულ, მგზავრულ, მხედრულ-რაინდულ, საცეკვაო, სატრფიალო სარბუნელო, სამგლოვიარო, ნეიდიან და სხვა ხასიათის სიმღერებს.

სახ. კონსერვატორიაში შემდგარმა სპეციალურმა კომისიამ კომპოზიტორ **დ. არაყიშვილის, კ. ფოცხვერაშვილის, ი. ტუსკიას და გ. კილაძის** მონაწილეობით, საჭიროდ ცნო მასწ. **ვეკუას** მიერ შეგროვილი სიმღერების კრებულის სახით გამოცემა.

კრებულის გამოცემა დაევალა სახ. კონსერვატორიას ქართული მუსიკის კაბინეტთან ერთად.

კინო

„ოქროს ცეცხლი"

ლენკინოს ფაბრიკის ნაწარმოები

რეჟისორი **კორში,** ოპერატორი **რიაბოვი,** სცენარი **ბროდიანსკისა.**

მათ, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მიერ დედამიწიდან აღგვილი, როდი დაუყრიათ მთლიანად კლასობრივი ბრძოლის ფარხმალი, ბანდიტები, მათი „ლიდერები", აქა-იქ მოხერხებულად ძვრებიან სოციალისტურ საწარმოში, მათ თავი კრავებად მოაქვთ, ნამდვილად კი ცხვრის ტყავში გახვეული მგლები არიან, ელექტროქარხანაში დივერსიულ, დამანგრეველ მუშაობას ეწევიან.

კლასობრივი მტერი შნილებულია. ასეთია კინოსურათი „ოქროს ცეცხლის" ფონი.

1921 წელი ივნისი. ბელორუსიის წითელი არმიის ცხენოსანი ნაწილი უკანასკნელად უტევს ბანდიტებს. ერთ-ერთი ბანდიტთაგანი პროლიევცო გადაურჩა წითლების რისხვას და დროებით შეაფარა თავი საკუთარ სახლს.

ბელორუსიის მშრომელები იმ ადგილას, სადაც წინათ ტბა და ჭაობი იყო, აგებენ უდიდეს ელექტროსადგურს, სადგურის გული მაგრად სცემს. კლასობრივი მტერი, ბანდიტი პროლიევცო ახერხებს ელექტროქარხანაში მოწყობას მონტიორის თანამდებობაზე. ქარხანაში ცვლის ინჟინერია სერგეი კოვალიოვი, კომუნისტი, პარტიულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობს ამხ. სინჩუკი.

ელექტროქარხანა მუშაობს. ცვლის ინჟინერი კოვალიოვი სამუშაო მაგიდას უზის და ათვალიერებს, სატრფოს—მარინა ბუნჩევიცის სურათს. ეს უკანასკნელი ამთავრებს უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელს, ბრუნდება თავის სამშობლოში და იწყებს სერგისთან ერთად მუშაობას. სწორედ ამ მომენტში მავნებელი პროლიევცო ახერხებს ტურბინების გაფუჭებას. ქარხნის დირექტორი ამას მიაწერს ცვლის ინჟ. კოვალიოვის შეცდომას და ხსნის მას სამუშაოდან.

უნდა აღინიშნოს ერთი მეტად საინტერესო მომენტი. მუშა-მჭედელ ბუნცევიჩს, (მარინას მამას), რომელიც თავის კუსტარულ სამჭედლოდან ქარხანაში გადავიდა, შეაქვს უაღრესად მნიშვნელოვანი რაციონალიზატორული წინადადება, რითაც იგი საპატიო ადამიანის სახელს იხვეჭს, ამასთანავე იგი პატიოსნად და კეთილსინდისიერად მუშაობს. წარმოების პროცესში ასევე დაწინაურდება ბუნცევიჩის სიძე—ლოშა, იგი მალე ხდება ცვლიგარეშად. ლოშას პატარაობისას სადღაც უნახავს პროლიევცო და უნდა გაიხსენოს, თუ სად.

— ეს კაცი ის არის, წითლებს, რომ ტყვიას ესროდა—ფიქრობს ლოშა და მიდის პროლიევცოსთან, რათა გამოიცნაუროს მას. მაგრამ მტერი მოხერხებულია, იგი არ იძლევა გამოცნაურების საშუალებას და ლოშას სულელად აცხადებს.

— არა, ის არის, ის...—არ იშლის თავისას ლოშა.

სერგის მოხსნის დღიდან ქარხანაში ცვლის ინჟინრად ინიშნება მარინა ბუნცევიჩი.

11 ივლისი. ქარხანაში ზეიმობენ ბანდებისაგან ბელორუსიის განთავისუფლების დღეს, გამომგონებელი ბუნცევიჩი დააჯილდოვეს, დააჯილდოვეს აგრეთვე მისი სიძე ლოშა ფეხსაცმლით...

—ჩვენი ქარხანა ახალგაზრდაა—ამბობს საბოლოო სიტყვას პარტკომის მდივანი ამხ. სინჩუკი—ჩვენზე მანქანები ბატონობენ, ვერ დავუფლებივართ ტექნიკას, ეს კლასობრივმა მტერმა ძალიან კარგად იცის... სინჩუკი ამახვილებს ყურადღებას ტექნიკის დაუფლების საკითხებზე. იგი მიუთითებს კლასობრივი მტრის მახინაციების გამოაშკარავებასა და დაძლევაზე.

ამ დროს მარინას ტელეფონთან ეძახიან. საქმე ცუდადაა, ტურბინები ცუდად მუშაობენ. პროლიევცოს მოუხერხებია ტურბინში ხის ნაჭრის ჩაგდება და ამით მუშაობის შეფერხება, მაგრამ წარმოებიდან დათხოვნილი ინჟ. სერგი კოვალიოვი ტურბინიდან ამოაქვს ხის ნაჭერი, პროლიევცო იქ არის და იგი უკვე მხილებულია. კოვალიოვი და მარინა ბუნცევიჩის უდანაშაულობა აშკარავდება.

„ოქროს ცეცხლი"—ახალი დიდი გამარჯვებაა საქ. კინომრეწველობისა. მთელი სიცხადით მოჩანს სოციალისტური რეალიზმის მოხერხებულად მომარჯვება, რასაც სწორ პოლიტიკურ დასკვნამდე მიყავს მაყურებელი. შესანიშნავად თამაშობენ არტისტები: მ. რონტოვცევი, ხ. შკურატი, ი. ჩუვილევი, რ. ხვერდლოვი, ა. კუზნეცოვი და სხვ.

ვალ. გ—ია.

შუქური რეკლამა ტფილისში

„საქრეკლამა" (კავშირგამმულობის საგამომცემლო-სარეკლამო კანტორა) ამ დღეებში შეუდგება შუქური და სხვა სახის რეკლამის მოწყობას ტფილისში. ქალაქის 15 პუნქტში (ლენინის ქუჩის და ელბაქიძის დაღმართის კუთხე, კარლ-მარქსის, სადგურის და კახეთის მოედნები, სასტუმრო „ორიანტი" და სხვ.) დადგამენ მხატვრულად გაფორმებულ თაღებს შუქური რეკლამისათვის.

იწარმოებს სანახაობათა, ბეჭდვითი სიტყვის ახალ გამოცემათა, ახალ მიღებულ საქონლის, მათი ფასის და იმ სავაჭროების რეკლამა, სადაც ეს საქონელი გაიყიდება.

ფიზკულტურა და სპორტი

ფეხბურთი.

ქალაქის ნაკრები—ტ.ს.ო.კ.

12 მაისს ლენინის სახელობის სტადიონზე ერთმანეთს შეხვდა ტფილისის ორი ძლიერი ფეხბურთელთა გუნდი—ქალაქის ნაკრები (პირველი) და ტფილისის სამომხმარებლო ორგანიზაციათა კავშირის (ტსოკ) გუნდი. თამაშის პირველ ნახევარში ნაკრები გუნდი ავიწროვებს მოწინააღმდეგეს, ბურთი მოხერხებულად ხელიდან ხელში გადააქვთ. ერთერთ ასეთი მომენტის დროს მარჯვენა გარემარბს ბალოტინს პირველი ბურთი გააქვს მოწინააღმდეგის ბადეში. ნაკრები გუნდის შეტევა კვლავ გრძელდება და იმავე ბალოტინის მეტად მოხერხებული დარტყმით ბურთი მეორეჯერ გადის ბადეში. ტსოკ-ის გუნდი ცდილობს ანგარიშის გაქვეითებას პირველ ტაიმშივე, ისინი მარდად თამაშობენ, მაგრამ ხელსაყრელ მომენტებს ვერ იყენებენ და თამაშის პირველი ნახევარი მთავრდება 2:0 ნაკრებ გუნდის სასარგებლოდ.

თამაშის მეორე ნაწილი დაიწყო ტსოკ-ის გუნდის ძლიერი შეტევით. ამ გუნდის მარცხენა გარემარბი გ. აფრიდონიძე, ერთ ერთი შეტევის დროს მოხერხებულად აცდენს ბურთს მცველებს და ლამაზი დარტყმით აქვითებს ერთ ბურთს. ამის შემდეგ ანგარიში არ შეცვლილა და თამაში დამთავრდა 2:1 ნაკრების სასარგებლოდ.

შემთხვევები

★ **დაჭრა.** მოქ. ა. მ. არუთინოვმა ჩხუბის დროს დანით მძიმედ დასჭრა მოქ. კლარა გ. ნაბაიანი (პლეხანოვის პროსპ. 199). დაჭრილი მოთავსებულია საავადმყოფოში. არუთინოვი დაპატიმრებულია.

★ **სასიკვდილოდ დაშავება.** კომუნალურ ქუჩაზე მე-6 მარშრუტის ტრამვაის მისაბმელი ვაგონის ქვეშ გაუფრთხილებლობით მოჰყვა მოქ. ა. გ. სარუხანოვა, რომელიც სასიკვდილოდ დაშავდა.

★ **გაუფრთხილებელი ხელა.** საბჭოს ქუჩაზე ტფილავტოტრანსის ავტობუსი № 10—76, რომელსაც მართავდა შოფერი ს. დ. დავიდოვი, დაეჯახა მოქ. მ. ე. ბედოშვილს. ბედოშვილი მსუბუქად დაშავდა.

★ **მკვლელის დაპატიმრება.** მილიციამ დააპატიმრა აფრასიონ მელიტონისძე ფუცხრიკაძე, რომელსაც მკვლელობისა და გაძარცვისათვის მისჯილი აქვს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა და გაქცეული იყო შრომა-გასწორების ბანაკიდან.

პარტკალენდარი

ლენრაიკომის მე-7 პლენუმი

14 მაისს საღამოს 7 საათზე, რაიკომის სხდომების დარბაზში (საბჭოს ქ. № 122), მოწვეულია საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის ლენრაიკომის პლენუმი.

დღის წესრიგი: 1. პარტმასობრივი მუშაობის მდგომარეობის შესახებ ავტოსარემონტო ქარხნის და კიროვის სახელობის ა.-კ. ინდუსტრიალური ინსტიტუტის პარტორგანიზაციებში.

ლენრაიკომის ბიურო.

შემოქმედებითი საღამო

დღეს, საღამოს 6 საათზე, ცენტრალური საბავშო ბიბლიოთეკაში (პლეხანოვის პროსპ. № 117) გაიმართება გ. კაჭახიძის საბავშო ნაწერების შემოქმედებითი საღამო. საღამოს აწყობს მკითხველ ბავშვთა აქტივი.

წერილები რედაქციას

ვიმუშაოთ უწუნოთ

(მუშის წერილი)

ამხ. ლ. ბერიას სახელობის ვაგონების შემკეთებელ ქარხანაში წუნდებული პროდუქციის გამოშვებას ბოლო ვერ მოეღო, მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ ბევრჯერ დაიწერა საქარხნო გაზეთში. უკანასკნელ ხანს წუნდებული პროდუქციის გამოშვება უფრო გაიზარდა.

ორთქლმავლების შემკეთებელმა ქარხანამ დაამზადა წუნდებული დუიმიანი კოხტრა - ქანჩები, რომელიც მიიღო სათადარიგო საამქროს ინსპექტორმა კოხტა **გოგიამ** და გადასცა დასამუშავებლად მექანიკურ საამქროს. მექანიკურმა საამქრომაც გამოჩარხა ისინი ბრუნდად, ტექნიკურმა კონტროლმა (ამხ. **ესაიანმა**) არ მიაქცია ამას ყურადღება და ბოლოს უვარგისი ქანჩები მიიღო ინსპექტორმა **ბატონიშვილმა.** ამ ნაწილების დაყენება ვაგონებზე შეუძლებელია, რადგან ამას შეიძლება მთელი მატარებლის ავარია მოჰყვეს.

ბატონიშვილი საერთოდ ხშირად ღებულობს წუნდებულ ნაწილებს მექანიკურ და უტილ-საამქროდან და გვიხდება მათი ხელმეორედ გადაკეთება.

ყოველივე ეს გავლენას ახდენს საამქროს მუშაობაზე, იწვევს გადახარჯვას და ასუსტებს ხარისხს.

დროა ერთხელ და საბოლოოდ ამოიფხვრას წუნი ბერიას სახ. ქარხანაში.

რაჟდენ არდემანაშვილი.

აქტს დასჯერდენ

(მოსამსახურის წერილი)

მოქ. **შოთა ალექსიშვილი** 1931 წ. მოეწყო ლენინგორის (სამხრეთოსეთი) კლუბის გამგედ. მან მაშინვე ხელი მიჰყო კლუბის ქონების განიავებას. კლუბი არც ისე ღარიბი იყო და ალექსიშვილმა, როგორც იქნა 1933 წლამდე „გაიტანა თავი". მერე კი შეთავსებით დაიწყო მუშაობა ბიბლიოთეკის გამგედ. აქაც არ დაიშალა თავისი ხელობა—სახელმწიფო ქონების მითვისება. მალე მას სარევიზიო კომისია ეწვია. გამოირკვა, რომ ალექსიშვილს ორიოდგან მიუთვისებია 1.960 მანეთის ნივთები (ვერცხლის ქამრები, ხალიჩები, ავეჯი).

კომისიამ აქტი შეადგინა და ამით გათავდა საქმე. აზრად არავის მოსვლია მისი დასჯა. როდემდე ივლის სახელმწიფო ქონების მიმთვისებელი ასე არხეინად?.

დ. გვრიტიშვილი.

მხოლოდ დაპირება

(კოლმეურნის წერილი)

გასული წლის სექტემბერში **ხოფ. ბერძნისწყაროს** (სამტრედიის რაიონი) კოლმეურნეებმა **შალვა** და **ნიკოლოზ** შანიძეებმა ადგილობრივ ფოსტაში მიიტანეს ფული სხვადასხვა მისამართით გადასაგზავნად, პირველმა — 400 მან., მეორემ — 100 მანეთი. ფული მიიღო ფოსტის გამგე **გრიგოლ შანიძემ.**

კარგა ხნის შემდეგ შალვა და ნიკოლოზ შანიძეებმა შეიტყვეს, რომ გაგზავნილი ფული ადრესატებს არ მიეღოთ. მიმართეს ადგილობრივ ფოსტას, მაგრამ აქ ცივად დაუხვდენ და ასე გამოისტუმრეს:

— ჩვენ ფული გავგზავნეთ და უკან ხომ ვერ გავყვებოდითო.

დაზარალებულნი მიადგნენ კავშირგაბმულობის სამტრედიის განყოფილებას. აქ დანიშნეს კომისია საქმის გამოსარკვევად. აღმოჩნდა, რომ ბერძნისწყაროს ფოსტის გამგე გრიგოლ შანიძეს გაეფლანგა 700 მანეთი, სხვათა შორის მომჩივანი კოლმეურნეების ფულიც. დაზარალებულებს დაპირდენ, რომ სამ დღეში აუნაზღაურებდენ ფულს, მაგრამ ამ ანაზღაურების მოლოდინში სამმა თვემ განვლო. შემდეგ კი კავშირგაბმულობის რაიგანყოფილების გამგემ ახალი დაპირებით იწყო მომჩივანთა დამოშმინება.

დაიცათ, საქმეს სასამართლოს გადავცემთ. გამფლანგველს ქონებას ავუწერთ და თქვენ დაგაკმაყოფილებთო".

ესეც ტყუილი გამოდგა. სასამართლო ამ საქმეზე თავს არ იტკივებს. კავშირგაბმულობის რაიგანყოფილების გამგეც დამშვიდებულია.

ა. შანიძე.

ნაადრევი სიხარული

შარშან 21 სექტემბერს თამაკონის სასოფლო საბჭომ წარტყილის რაიაღმასკომისგან ასეთი ცნობა მიიღო: „თქვენი მოთხოვნა დაკმაყოფილებული იქნა. რესპუბლიკურ სააფთიაქო სამმართველოს ეთხოვა გახსნას აფთიაქი თქვენ სოფელში".

გაუხარდათ თანაკონელებს. უსრულდებოდათ დიდიხნის ნატვრა. აფთიაქს გაუხსნიდენ იქვე სოფელში და აღარ მოუხდებოდათ სხვაგან ხეტიალი წამლისათვის. თამაკონელმა კოლმეურნეებმა ააგეს სააფთიაქო შენობა, საჭირო ინვენტარიც შეიძინეს მაგრამ.... სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა, რაიაღმასკომის შუამდგომლობამ ვერ გასჭრა, აფთიაქი არ გახსნეს.

თამაკონელ კოლმეურნეებს უფლება აქვთ იკითხონ: რატომ აგრე აბუჩათ იგდებს მათ ინტერესებს რესპუბლიკური სააფთიაქო სამმართველო?

ბორ. აბაკელია.

სახელმწიფო ოპერა 1934-35 წ. სეზ. ტელ. 3-03-47	დღეს 6 აბონ. 14 წარ. მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტის დ. ი. ანდღულაძის მონაწილეობით აიდა	15 მაისს 1 აბონ. 14 წარმ. უკანასკნელად სევილიელი დალაქი	16 მაისს 4 აბონ. 14 წარმ. პიკის ქალი კიევის ოპერის მსახიობის მოსკალენკოს მონაწილეობით.

იმ აბონენტებს, რომლებსაც არ ექნებათ გადახდილი მე-12 (უკანასკნელი) გადასახდელი, წარმოდგენაზე არ დაიშვებიან.

წარმოდგენების დასაწყისი—დღისით 12 საათზე. საღამოს 8 ნახევარ საათზე.

რუსთაველის თეატრი	დღეს 2 აბონ. 9 წარ. რღვევა	15 მაისს 3 აბ. 9 წარ. რღვევა	16 მაისს 13 აბონ. 9 წარ. განგაში

სალარო ღიაა 11—2 6—9 საათამდე.

წარმოდგენის დასაწყისი საღამოს 8-ნახ. საათზე.

მარჯანიშვილის თეატრი	14 მაისს აბონ. № 13 მე-7 წარმ.	წარმოდგენა № 153 განურჩევლად პიროვნებისა
	15 მაისს აბონ. № 2 მე-7 წარმ.	წარმოდგენა № 154 განურჩევლად პიროვნებისა
	16 მაისს აბონ. № 7 მე-7 წარმ.	წარმოდგენა № 155 განურჩევლად პიროვნებისა

ბავშვები და მოზარდები 17 წლამდე არ დაიშვებიან. დასაწყისი სალ. 8-ნახ. საათზე. სალარო ღიაა 11—2 6—9 ს.

ტფილისის სახუნტის მუშფაკი
ა-წ. 20 მაისიდან ხსნის მუშფაკში შემსვლელთათვის თვანახევრიან

მოსამზადებელ კურსებს

კურსებზე მიიღებიან მუშები და კოლმეურნეები და მათი შვილები 18—30 წლამდე 4-წლედის ცოდნის ფარგლებში, საწარმოო სტაჟი არა ნაკლები 2 წლისა. მსურველებმა თან უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1) განათლების მოწმობა, 2) დაბადების მოწმობა, 3) სოც მდგომარეობის და სოც წარმოშობის, 4) სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების, 5) საწარმოო სტაჟი, 6) ორი ფოტოგრაფიული სურათი და 7) მივლინების ბარათი.

განცხადებების მიღება იწარმოებს მუშფაკის კანცელარიაში ა-წ. 18/5-მდე (რიყის ქ № 2) დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 10 საათამდე.

210 მუშფაკის ადმინისტრაცია.

ოქტომბერი 6-30, 8-30, 10-30	ახალი ხმოვანი ფილმი ესკადრის დაღუპვა
დამკვრელი 6, 7-30, 9, 10-30	მხატ. ფილმი ვიქ. ჰუგოს რომანის მიხედვ. განწირულნი—პირველი სერია.
ტემპი 6, 7-30, 9, 10-30	ახალი მხატვრული ფილმი პარტიზანის ქალიშვილი
რ. ლიუქსემბურგის სახ. 6-30, 8-30, 10-30	დადგმის მეორე კვირა ხმ. ფილმი—ახალი გულივერი
„26"-ის კომ. სახ. 6-30, 8-30, 10-30	მხატვრული ფილმი—ბელა
კომინტერნი საზაფხ. (დიდუბეში). 8-30, 10-30.	მხატკრ. ფილმი ბოშური სისხლი

ქალ. ტფილისის რკ.-გზების ტრესტის დირექცია
აცხადებს, რომ ა-წ. 13 მაისს 25 მაისამდე ჩათვლით
ტრამვაის კანტორაში იწარმოებს
რეგისტრაცია ტრამვაის სამგზავრო ბილეთების,
მხოლოდ იმ ბილეთების, რომლებიც არის გაცემული წინა ბაქნიდან შესვლის უფლებით.
რეგისტრაცია იწარმოებს დილის 8 ს-დან დღის 1-ნახ. საათამდე.
2—2 ნ. 152 ტრესტის დირექტორი **რაზმაძე.**

უქმად ჩათვლილი საბუთები

დაკარგულია ჩ. ზ.

სამიწადმომწყობო ტექნიკუმის დამთავრების დიპლომი № 116—აკაკი ქელეხსაშვილის სახელზე.

სამხედრო წიგნაკი ტიტე სილოვანის-ძე ჩუბინიძის სახელზე, გაცემულია ოზურგეთის სამხედრო კომისარიატიდან.

პასპორტი და სამხედრო წიგნაკი ნოზაძე სპირიდონის სახელზე. 9

შალვა გიორგის-ძე თანდილაშვილის საალმშენებლო კავშირის წიგნაკი № 1076.

ა/წ. 11 მაისს სახლიდან გავიდა ვარია ხეიჩი 12 წლის და არ დაბრუნებულა. მნახველს ვთხოვთ გვაცნობოს, ჩაჩრუაძის ქუჩა № 31, არხიფო კაკაბაძესთან. 8171

25 აპრილს სახლიდან გავიდა პროკოფილე კუპრაძე და არ დაბრუნებულა, არის საშუალო ტანის, თმა აქვს ქერა, ტანზე აცვია ნაცრისფერი პალტო, მნახველს ვთხოვ გვაცნობოს ბრძოლის ქ. № 210 სიმონ კუპრაძეს. 817

ექიმი
ს. გ. დილგანუი
სპეც. შარდ - სასქესო, ვენერიული და კანის სნეულებანი, მწვავე და ქრონიკ. სუსუნატი და სქესობრივი უძლურების მკურნალობა
მიღ საღამოთი მამაკაცების 6—8, ქალების 5—6 ს. თეატრალური შეს № 13. სახ. ოპერის თეატრის გვერდით.
6—4 7301

ექიმი
ა. ვ. სავანელი
დაბრუნდა მოსკოვიდან და განაახლა ავადმყოფთა მიღება. განსაკუთრებით: სიფილისი, ტრიპერი და კანის სნეულებანი.
იღება: დილის 9-12 და საღ. 6-9 ს. მისამართი კომუნალური ქ. № 59.
5-1 8161

უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა მოსამზადებელი კურსები
ხსნის ჯგუფებს
რომელთაგან ერთი იმეცადინებს დილის ცვლაში, მეორე საღამოს. განცხად. მიღება საღამოს 6 ს.
კალინინის ქ. № 51 რკ. გზ. მე-5 სკოლის შენობაში 3 სართული. 8173

საქმარაგგასაღების სათბობის კანტორა აცხადებს

იმ კლიენტების საყურადღებოდ, რომლებისთვისაც ტფილისის საბჭოსთან არსებულმა სათბობის კომიტეტმა გამოჰყო შეშა 1935—36 წლის გათბობის პერიოდისთვის, რომ ხელშეკრულებათა დადების უკანასკნელი ვადა ა. წ. 20 მაისია.

ორგანიზაციები, რომელნიც აღნიშნულ ვადამდე არ დასდებენ ხელშეკრულებებს, მოხსნილი იქნებიან მომარაგებიდან.

კლიენტურის ხის გადათვალიერება შეიძლება საქმარაგგასაღების სათბობის კანტორაში.

უახლოესი მეგობრები: ვალოდია, მერი ლორთქიფანიძეები, ვანო, კატო ეპიტაშვილები, ნატა, საშა, მანია სამქუაშვილები, ალექსანდრე, რამიშვილი, ბენია ხალვასი, ალექსანდრე ზამთარაძე, იუწყებიან მასწავლებელ ალექსანდრე მათიაშვილის მამის
სიმონის
გარდაცვალებას. 211

საქპროფსაბჭოს შრომის ინსპექციის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან გამგის მოადგილის ნანობაშვილის ცოლისძმის
კონდრატი ჯორბენაძის
უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება ყოფ. მიხეილის საავადმყოფოს პროზექტურიდან 14 მაისს 5 ს. რკ. სადგურზე ლანჩხუთში წასასვენებლად. 8178

უახლოესი ამხანაგები: თ. აბობაძე, ქ. ჩიკვაიძე, თ. დარჯანია, ფ. თოდრია, ნ. სიხარულიძე, ქ. გიორგაძე, ნ. თევზაძე ნ ობოლძე და ნ. კაცია იუწყებიან სახუნტის 4 კ. სტუდ.
ვენია ჯანიშვილის
უდროოდ გარდაცვალებას. 8155

დამწუხრებული დედა პისტი ქმრით ალექსანდრე გრიგოლიათი, შვილებით, მიშა ცოლით, პაშა, ქმრით სერგო, მარგო ქმრით, დათიკო ცოლით და დარეჯანი იუწყებიან ძვირფასს
კოკი შორშოლაძის
უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა ქუთაისში გოგებაშვილის ქ. № 1. 155

დამწუხრებული მშობლები მარკოზ, სამორა კიკალიშვილები, ბებიები მანია, სონიჩკა გოცირიძეები, ნინო ამირაჯიბი, მელანია კიკალეიშვილი აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს შვილის და შვილიშვილის
პატარა ფავრიზის
გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა 13 მაისს ავჭალაში. 8175

ცოლი ნატალია, შვილები ოთარი, ლოლი, ძმები დიმიტრი, ვალიკო, კოლია ცოლშვილით ჩიკვაიძეები, და ელენა ქმარშვილით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს დაუვიწყარი
არქიპო იოსებისძე ჩიკვაიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 14 მაისს 4 ს. დ. ხარაგოულში (ორჯონიკიძის რაიონი). 8174

მეუღლე სონა, შვილები სიმონი, მიშა, მარო, ვერა, რძალი თამარა, შვილიშვილები იური, ნოდარი კაკულიები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს დაუვიწყარი
ნიკო ბიტოსძე კაკულიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა დ. ხარაგოულში (ორჯონიკიძის რაიონი). 8172

სოლომონ და ნიკო ფირცხალაიშვილები თავიანთი ოჯახობით, დებით, სიძეებით და დისშვილებით მწუხარებით იუწყებიან ძვირფას დედის და ბებიის
ალათი ფირცხალაიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 14 მაისს სოფელ შუხუთში (გურია). 8167

დამწუხრებული ბიძა კლემენტი ცოლით და შვილებით ვალოდია, ოჩიკო, ჰაჰულია ერისთავები, სიძე ვლადიმერ გურგენიძე ცოლშვილით იუწყებიან ძვირფას
კოკი შორშოლაძის
უდროვოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ქუთაისში 14 მაისს. 8168

დამწუხრებული ცოლი ლუბა, შვილები: სანდრო, პოლია, რძალი თამარა, ცოლის ძმა დომენტი მწუხარებით იუწყებიან
სერგო გიორგის-ძე ტოგონიძის
გარდაცვალებას. კამოსვენება 14 მაისს ხუდადოვის ქუჩიდან 5 საათზე კუკიის სასაფლაოზე. 8169

მისამართები: რედაქციის რუსთაველის პროსპექტი № 16, გამომცემლობის რუსთაველის პროსპ. №34. ტელეფონები რედაქტორის 3—62—26, რედაქტორის მო ადგილის 3—63—03, პასუხისმგებელი მდივნის 3—06—88, მასობრივი განყოფილების 3—78—24, პარტმშენებლობის განყოფილების 3—57—61, სამრეწველო განყოფილების 3—73—40, სტამბის 3—27—04, გამომცემლობის—3—51—81. ხელთნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს.

სტამბა „კომუნისტი" კამოს ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული ბ—9351